1885

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნობათი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ამა 1885 წ. „ნობათი"-ს ხელის-მოწერა

# სარჩევი

## ყრმათა საკითხავი წიგნი:

გვერ.

I. თითის ტოლა ბავშვი (ზღაპარი, ქვეყოფსკიდამ). ვ. ო—სა. . 55

II. თავგო-თავგობა (სურ. ბავშვების ცხოვრ.) ა. მღებრიშვილისა. . 60

III. მაიმუნი სიამანგი. ისკანდერისა. . . . . . . . . . 64

IV. ღარიბების შემწე (რუსულით გადმოკეთ.) ს. მგალობლიშვილისა. 70

V. მელიას ცულლუტობა (გიოტეს პოემიდამ, რუსულით გადმოკეთ.) ალ. ჭიჭინაძისა. . . . . . . . . . . . . . 81

VI. ორი ქოსა-ტყუილა (ხალხური ზღაპარი) სოსიკოსი. . . . 87

VII. ხალხური გამოცანები და სხვ. . . . . . . . . . 91

## დამატება

VIII. სამაგალითო გაკვეთილები. წერა-კითხვის მეხუთე გაკვეთ. ხაველისა. 9

IX. მედიატორეთა განჩინება. . . . . . . . . . . 12

X. მედიატორეთა სამართლის განმარტებ. წერილი. . . . 16

XI. განცხადებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნობათი

ყრმათა საკითხავი

## საყოველთაო სურათებიანი

ჟურნალი

პედაგოგიურის დამატებით

(მშობელთა და აღმზრდელთათვის)

„დღისით და ღამით მოუშენი
ნობათსა არ დაჰკლებიან!"
რუსთველი

**№ II**

წელიწადი მეორე

თბილისი 1885

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ბაღთან, თუმანიშვილის სახლი № 7

# სარჩევი

## 1884 წ. „ნობათი"-სა

## ყრმათა საკითხავი წიგნისა:

### ლექსები


გვერდი.

1. მიპატიჟება სასწავლებელში. რ. ერისთავისა . . . 1.
2. ლომ-კაცი. ზღაპრული პოემა. გ. წერეთლისა. 9, 94, 140, 178 და 225.
3. დედის რჩევა. ი. რევსაძისა . . . . . . . . 30.
4. მარინე. ლეგენდა. ცახელისა . . . . . . . . 44.
5. ჯერ ხტომა, მერე შრომა. რ. ერისთავისა . . . 65.
6. ყმაწვილი და პეპელა. აკაკისა . . . . . . . . 82.
7. ზაალი. ლეგენდა. ცახელისა . . . . . . . . . 83.
8. დედა და შვილები. რ. ერისთავისა . . . . . . . 115.
9. ჩიტი. იმისავე . . . . . . . . . . . . . . 161.
10. გაზაფხული. ი. ბაქრაძისა . . . . . . . . . . —
11. გაზაფხული. ცახელისა . . . . . . . . . . . 207.
12. მელა და ყურძენი. აკაკისა . . . . . . . . . 253.
13. დაკარგული შვილი. ცახელისა . . . . . . . . 272.
14. საწყალი გიგა. ი. ბაქრაძისა . . . . . . . . 278.
15. ნანინა. X—X. . . . . . . . . . . . . . 315.
16. ყმაწვილის ოცნება. იმისავე . . . . . . . . 338.
17. ბიძა ბერუა. ს. ნასარიძისა . . . . . . . . 403.
18. რუ ყინულ ქვეშ. ცახელისა . . . . . . . . . 431.
19. ქვავი და სურა. ვ. გუჯუაშვილისა . . . . . . . 443.


### მოთხრობები.


1. მოგონება. ი. რევიშვილისა . . . . . . . 2, 73.
2. მტრედი. ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . . 36.


ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ფინია გიშერას ცუღლუტობა. ნ. ნესმელოვისა 47.
4. საახალწლო ფეშქაში. ეკ. გაბაშვილისა 67.
5. საბრალო ჩიტი. ლილიპუტისა . . . . . . . 87.
6. ფიქრი არწივისა (რუსულიდამ). ნინოსი. . . . 103.
7. თოხი-ტარა. აკაკისა . . . . . . . . . 116.
8. კაჭკაჭებისა და მელიების ომი. (რუსულიდამ). მაროსი. 133.
9. ღრუბელი. (რუსულიდამ). . . . . . . . 145.
10. ყმაწვილი და ჩიტი. (რუსულიდამ). ცახელისა . . 162.
11. სანდროს სიყრმე. ა. აბაზაძისა . . . . . . 170, 210.
12. ტიროლიელი ქალწული. (დიკენსიდგან) . . . 241.
13. რად დაგვივიწყეს? ეკ. გაბაშვილისა . . . . 255.
14. მწყემსი. (ნემენცურიდამ). დ. სამსონიძისა . . . 274.
15. ბუზი-ბზუილა და ფუტკარი-ზუზუნა (მიბაძვა). მ. ჯა-ნაშვილისა. . . . 316.
16. ჰონის შაგირდი. სანდალასი. . . . . . . 328.
17. ყაყიტას ქურდი. ს. მგალობლიშვილისა . . . 345.
18. ფრიდოლესი (სომხურიდამ). ზ. მამულიანცისა . . 357.
19. ყმაწვილები ღრუბელში (რუსულით). ვარგაზელისა. 376.
20. მაიმუნი კალუ. პატარა ამბავი. ანისა . . . . 406.
21. ბიჭ-ლევანა. (სომხურიდამ) ზ. მამულიანცისა . . 415.
22. ტრიალ მინდორზე. ა. ნ—ძისა. . . . . . 423.
23. ცის-ფერი კაბის ამბავი. ელ. ლორთქიფანიძისა . 433.
24. ჩიტის ფაფა. ეკ. ა—სა . . . . . . . . 444.
25. ყვავის საყდარი. (ლეგენდა). მ. ჯანაშვილისა. . 452.
26. საკვირველი გლეხი. წყალტუბელისა. . . . . 466.

## ზ ღ ა პ რ ე ბ ი

1. სესია და ივანა. დ. რიონელისა. . . . . . 129.
2. მელიას ხრიკები . . . . . . . . . . 166.
3. სიცოცხლის წვეთი (რუსულიდამ). ტურგენევისა. 208.
4. ომული. (კარმენ სილვას ზღაპრებიდ.). ან. თ—ლისა. 217,287.
5. არაფერი. გ. მ—ლისა . . . . . . . . 270.
6. როსტომელა. ი. მ—ელისა. . . . . . . . 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


7. სამნი ძმანი. მ. ნასიძისა. . . . . . . . . 353.
8. ხელმწიფის შვილი. იმისავე. . . . . . . . 420.
9. ლოკოკინა და ვარდის ბუჩქი (ანდერსენიდამ). გრ. ვოლსკისა. . . . . . 439.
10. დიდი და პატარა გიორგი. (იქიდამვე). ეკ. მ--ისა. 454.


## ისტორიული მოთხრობები


1. პაატა თემურიშვილი. („დროებიდამ“). . . . . . 25.
2. ფარნაოზ მეფე. მღვ. დ. ჯანაშვილისა. . . . . 194.
3. წმ. ნინო და მეფე მირიანი. იმისავე. . . . . 301.
4. წმ. მოწამენი დავით და კოსტანტინე. იმისავე. . 380.
5. მეფე ვახტანგ გორგასლანი. იმსავე. . . . . . 384.
6. მეფე მირი და არჩილ მე-II მოწამე. იმისავე. . . 472.


## გ ე ო გ რ ა ფ ი ა


1. გეოგრაფ. წერილები I და II—კახეთი. რ. ვაჩნაძიანელისა 32.
2. იმერეთი. იმისავე. . . . . . . . . . . 110.


## ბუნების მეცნიერება


1. პირველი ცნობები ზოოლოგიიდამ. პოლ ბერისა. რუს. გადმოღ. მაღაროელისა. . . . . 54.
2. ჰაერი და მისი თვისებანი. ა. მარიანაშვილისა. 148, 200, 244, 307, 394, 478.
3. მოგზაურობა ოთახში, ეზოში და ბაღში. ანისა. 262, 318, 408.

საინტერესო ცნობები. . . . . . . . . 62, 157, 492.
გამოცანები, რებუსები და სხვა. 61, 113, 160, 205, 206, 250, 252, 313, 400, 495 და 496.

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

მკითხველს. ა. დულაძის. . . . . . . . . .

## პ ე დ ა გ ო გ ი ა

1. ადამიანის ფიზიკ. აღზრდა. წყალტუბელის. 17, 33, 41, 72, 89 და 105.
2. ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლებში. ა. დულაძის. 60.
3. სამშობლო ენა. მაღაროელის. . . . . . . . 19.

## სამაგალითო გაკვეთილები

1. განმარტებითი კითხვა ქართული ენისა. გაკვ. 1-ლი. ლილიპუტის. 3.
გაკვ. მე-2. ა. მირიანაშვილის. 112.
2. წერა-კითხვის გაკვეთილები. ხეველის. . 22, 37, 49 და 109.
3. სალმრთო რჯულის სწავლება. წყალტუბელის. . 67, 93.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. „კონა“-საკითხავი წიგნი, შედგ. ი. გოგებაშვილის. 96.
2. არითმეტიკა, შედგ. მ. ყიფიანისაგან. . . . . 117.
3. ახალი წიგნები. . . . . . . . . . . . . 103.

## ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

1. ბარონ ნ. კორფის გარდაცვალებაზე. . . . . 11.
2. სახსოვრად. სერგეი მესხის გარდაცვალების წლის თავის გამო. აკაკის. . . 57.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თითის ტოლა ბავშვი.

(ზღაპარი, ჟუკოვსკიდამ).

იყო სადღაცა
ბავშვი რაღაცა
და იყო ტოლი მხოლოდ თითისა,
მაგრამ ლამაზი,
ტურფა და ნაზი,
თმა აბრეშუმი, ფერით გიშრისა;
ბრწყინავნი თვალნი,
ვით ნაპერწკალნი,
ბროლის მკლავები, ბაგე ვარდისა.

—

სცხოვრებდა ბავშვი,
ზამბახში, ვარდში;
იმათ ფოთლებში მიისვენებდა,
რა დასცხებოდა;
დაღამდებოდა —
მათ შუა ტკბილად მიიძინებდა.

—

და გაახელდა
ნაპერწკალ-თვალთა,
რა მზე მოჰფენდა ცას ცხოველ სხივსა;

და სპეტაკს ნამში,
ანკარა ცვარში
იბანდა ბავშვი ლამაზს ხელ-პირსა.

—

და ადუღებოდა,
მოირთვებოდა,
ატლასზე უფრო ბრწყინავის კაბით,
იით, ვარდითა,
ან ზამბახითა,
სხვა-და-სხვა ფერათ ტურფად ელვარით.

—

შემდეგ თვისს რაშსა,
კვირცხლს, მარდს ფუტკარსა,
კაკლის ნაჭუჭის აბამდა ეტლში;
და ნავარდობდნენ,
ერთათ მარდობდნენ,
მაღლა ლაჟვარდში, მირს ბუჩქნარ-ველში.
და მის ყვავილებს,
ნარგიზთ და იებს,
თვისს ციცქნა ტუჩებს მიაწებებდნენ;
და იმათ მალსა,
მათ ნექტარს თაფლსა,
რაც მალა ჰქონდათ, ვით რძესა სწოვდნენ.

—

ტურფა ციკადნი [1]),
ოქროდ ბრწყინავნი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასთან ჰფრინავდნენ, მასთან ხარობდნენ,
ელვარე ფრთებით,
ჟღერა-სიმღერით
ჭრელ პეპელებთან ცელქობდნენ სტოდნენ,
და უხმო ხმითა
გულ-სალხენითა
ბჟუოდნენ ტურფად, თითქო ჰგალობდნენ.

—

და რა საღამოს,
მყუდრო, საამოს
ქვეყანას ბუნდი ეფინებოდა
და მთოვარითა,
და ელვარითა
ვარსკვლავთა გუნდით ცა ენთებოდა,—
ველს სუნნელიანს,
ველს ზურმუხტიანს
მნათის ლამპრითა მოჰფრინდებოდა
ლაჟვარდ-ნათელა,
ციცინათელა
და ტურფა ბავშვსა იახლებოდა

—

და გუნდნი ალფთა [2],
მარდათ მფრინავთა
მას მნათს ლამპარსა თან მიჰყვებოდნენ
ბავშვის სალხენად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის წინ საფრენად,
და ნავარდობით ლხინს მოჰყვებოდნენ.

—

ვით წყარო მთებით,
ტალღა, ზვირთებით,
ეგრედ ჰაერში ღელავდნენ, სჩქეფდნენ,
სხივით ბრწყინავნი,
მარდათ მფრინავნი,
ცელქობდნენ ერთათ, ერთმანერთს სდევდნენ.
ან ზურმუხტს ველზედ,
მის ყვავილებზედ,
ხან კვირცხლად ხტოდნენ, ხან ჰქანაობდნენ,
და ღამის ნამში,
მარგალიტს-ცვარში
ციცქნა ფრთებითა ჰყუმპალაობდნენ.

—

და შუა ღამეს
ბავშვის თვალთ-სახეს,
რა მოიცვავდა ძილისა ბუნდი,
სხივში ელვარე,
ვით ცაში მთვარე,
მსწრაფლ განჰქრებოდა მოლხინეთ გუნდი.

—

მაშინ ვარდებში,
ან ზამბახებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამაზი ბავშვი იბანაკებდა,
და ტკბილის ძილით,
ოცნებით ტკბილით,
იმათ ფოთლებში განისვენებდა

—

და გაფურჩქვნილნი
იგი ყვავილნი
ციცქნა ბავშვს ჰქონდა მფარველად ბანად,
ვიდრე დიდებით
და ელვარებით
მზე აღმოსავლით ცის დიდ კამარად,
იათაკს უსამძღვროს,
თაღს ქარვა-ხუთოს
გაბრწყინდებოდა მთებზედ და ბარად...

—

მგრეთ სცხოვრებდა,
მგრეთ ხარობდა
ბავშვი ლამაზი,
ტურფა და ნაზი.

ვ. ო.

---

1) 2) წვრილი მწერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თაგო-თაგობა.

(სურათი ბავშვების ცხოვრებიდამ.)

მზემ წამოკრიფა დედა-მიწიდგან ზამთრის სიცივით მაღლა-მისდილი სხივები და ჩაესვენა დიდ გორის უკან. დაუბერა ზამთრის ხმელმა ქარმა; თოვლით დაფენილი დედა-მიწა დაიჩრდილა. ტყიდგან ყველა დაბრუნებულა, მოეშურება სახლისაკენ. სხვათა შორის სოფლის პატარა ბიჭებმა ნიკომ, ვასომ, დათომ, გიგომ და თედომაც კვირაცხოვლის გვერდზედ პატარა ციგებით კუნძები ჩამოასრიალეს. მთვარემ მოჰფინა თვისი ბრწყინვალე სოფლის არე-მარეს. ქვეყანა ისევ განათდა; ტყეში ნამყოფი ბიჭები ისევ ერთად შეგროვდნენ და სხვა პატარა ციგებით ცურაობა დაიწყეს.

დრო გადავიდა. ბავშვებმა მოიწყინეს თამაშობა და შინ წასასვლელად დაემზადნენ; მაგრამ ციბრუტივით მოჰროწიალდა ვასო, მიუბრუნდა თავის ამხანაგებს და უთხრა:

— ხვალ-ღამ, ბიჭო, თაგო-თაგობა არ არის?

— ბიჭოს! მართლა, ეგ რა კარგი მოიგონე! ჩვენ აღარცკი გვახსოვდა! შეჰყვირეს ყველამ.

— იცით, რა გითხრათ? ხვალ შემაზედ ნუღარ წავალთ; ჩვენ ერთად წავიდეთ, სულ ყველა ვენახები დავიაროთ და, სადაც მოგრძო ასკილები იყოს, ისინი დავჭრათ თაგვების გასარეკად, სთქვა ნიკომ.

— მაშ, აბა ბიჭებო, ნიკოს რა პირობას აძლევთ? დაიძახა ვასომ.

— ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, მაგრამ ვინ შეგვატყობინებს, რომ ასკილზედ ერთად წავიდეთ? სთქვა გიგომ.

— მე, მე! შუა დღის უკან დაგივლით ყველას, შევიყარნეთ ერთად და წავიდეთ, შეჰყვირა დათომ.

— მაშ კგრე: ხვალ წავიდეთ, და ვინც არ წამოვიდეს, იმას კვირა-ცხოვლის მადლი გაუწყრეს.

ყველამ ხმა მაღლივ შეჰფიცეს ერთმანერთს; წუთზედ დაშორდნენ და პროწიალ-პროწიალით თავ-თავიანთ სადგურისაკენ წამოვიდნენ.

II

გათენდა მშვენიერი დილა. ზამთრის დილის მზის სხივები ეციმციმებოდნენ და დედა-მიწაზედ დაფენილს თოვლს აბჭყვრიალებდენ, თითქოს ალმასები არის დაბნეულიო. აგერ მზე საშუადღეოს გადასცდა. პირობისამებრ დათა დაფაცურდა, დაურბინა ამხანაგებს, შეჰყარა ერთად სულ ყველანი ⴃ პატარა წალდებით გაემგზავრნენ ვენახებში ასკილების დასაჭრელად. ბავშვებ-

მა მთელი სოფლის ვენახები მთლად შემოიწანწალეს, მაგრამ შოგრმო ასკილები ვერსად ჰპოვეს. ბოლოს ერთ ვენახში მიაგნეს კარგა მაღალ ასკილის ბუჩქებს. გახარებული ბავშვები ეცნენ, დასჭრეს და ბაასით შინისაკენ დაბრუნდნენ.

— აბა, ეხლა რა დროს უნდა გამოვრეკოთ თაგვები? ერთ ადგილას არ უნდა მივრეკოთ? იკითხა ნიკომ.

— ჯერ ყველამ ჩვენ-ჩვენი თაგვები, აი, ნინიკაანთ საბძელთან მივრეკოთ და იქ დავიცადოთ, მანამ ყველა ერთად შევგროვდებოდეთ; მერე იქიდგან თაგვის ფარა, აი, სოფლის ბოლოზედ, ეფრემაანთ საბძელთან, ჩავრეკოთ და იქ დავაბინაოთ, სთქვა ვასომ.

ჩავიდა მზე. მირს ბინდი დაეცა. ახლაკი მოვიდა თაგვების გარეკის დროც. აი, ვასომ აიღო ასკილი, დაიწყო თავიანთ მიწურიდგან თაგვების რეკა ამ სიტყვებით: ,,თაგვო, თაგვო, გამოდი, ანგელოსო, შემოდი!“ ასკილის ქნევით და ყვირილით მივიდა ნინიკაანთ საბძელთან და იქ თაგვები შეაჩერა. შემდეგ მოვიდა აქ ნიკო, მერე გიგო და რამდენიმე ხნის უკან ყველანი შეიყარნენ. ამათ აქედგან გარეკეს თავიანთ თაგვის ფარა, თან ქადებს შეექცეოდნენ და ბაასობდენ.

— ბიჭო, თითქო თაგვები გამოვრეკეთ და სად არიან ისინი? რატომ ჩვენ წინ არ მიცუცუნებენ? იკითხა ნიკომ.

— თაგვები კი არა, შენმა მზემა და, ცხენები! ჩვენი დარბაზიდამ თაგვებს ვინ გამორეკავს? ისეთ ადგილას აქვთ სოროები, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს; მე იმათ საით ჯანაბიდგან გამოვრეკავდი! უთხრა ვასომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, ეგ ტყუილი მოგონება თუა? ბებიაჩემი იტყვის ხოლმე, რომა ვინც ყველიერში თაგვებს გარეკავს, თაგვები არ წაახდენენ იმის ყანასაო; ისინი სულ მიწა-მიწა გამძვრებიან ხოლმეო.

— ტყუილი კი არა და! მაშ ღმერთს რად გაუჩენია ყოველ ამ ღამეს თაგვების გამორეკა? უთხრა გიგომ.

— ღმერთმა კი არა და ის არ გინდა! ისიც შენითანა გიჟი ყოფილა, ვისაც ეს მოუგონია, სიცილით უთხრა ვასომ.

ამასობაში ბავშვებმა თაგვის ფარა საბძელთან მირეკეს.

— თაგვებო! აქედამ ფეხი აღარ მოიცვალოთ, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ, შეჰყვირა გიგომ.

— ვის ეშმაკებს უყვირი? ხომ არა მოგელანდა რა? უთხრეს სიცილით ამხანაგებმა.

— ბიჭო, შენ ე ახირება ნუ იცი, თორემ...

— თორემ რას მიზამ?

— იმასა, რო ე ასკილს ერთს კარგად გშვლეპავ!

— მშვლეპავ რა, შენი პურით გაზრდილი ხომ არა ვარ? მე კი ჩვენი ზაქაანთ ისაკა არა ვარ, იმდენს მოგაყოლებ, ნახევარი ვერ დათვალო.

— რა დროს ჩხუბია. ჩქარა წამოდით შინ, ვახშმობა კიდეც არის. შინ ცხელი ქადები გველიან, თქვა ვასომ. მოჰკიდა ხელი ნიკოს და ორთავემ ერთად გასწიეს. სხვებმაც გადაჰხვიეს ხელი-ხელს და გაემართნენ თავიანთ სადგურებისაკენ.

ა. მღებრიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მაიმუნი სიამანგი ანუ სინდაქტილი.

ნობათი-ს წარსულ წიგნში, უეჭველია, წაიკითხავდით სხვათა შორის ,,მ ა ი მ უ ნ ი  კ ა ლ უ''-საც. თუ მაიმუნების ცხოვრებიდამ ამოღებულმა ამ პატარა ამბავმა აღგიძრათ სურვილი გაიცნოთ მაიმუნების ცხოვრება, ჭკუა, გამჭრიახობა, ხასიათი, ჩვეულებანი და სხვ., ხომ მალიან კარგი და თქვენს სურვილს დიდის სიამოვნებით ავისრულებთ, მით უმეტეს, რომ ამ პირუტყვების ყოველ მხრივ გაცნობა სწორეთ რომ საყურადღებოა. ან კი რატომ არ, უნდა იყოს სასურველი იმ პირუტყვების გაცნობა, რომელნიც ადამიანს წააგვანან. აი ამიტომ, გარდა იმ ამბისა, რომელიც წარსულ წიგნში წაიკითხეთ და რომელსაც ახლა წაიკითხავთ, ჩვენ განვიზრახეთ მაიმუნების ცხოვრებიდამ რამდენიმე ამბავი კიდევ გიამბოთ და შემდეგ, თუ თქვენი სურვილიც იქნება, საზოგადოთ მათი ცხოვრებაც აღგიწეროთ: შევადაროთ ერთმანერთს ადამიანისა და მაიმუნის სხეული, ტანი, მვლების წყობილობა, მსგავსება და განსხვავება ერთი ერთმანერთისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთს სწავლულს (მეცნიერს) მაიმუნი ჰყვანდა. ეს მაიმუნი იმ ჯიშის მაიმუნებთაგანი იყო, რომელთაც ს ი ა მ ა ნ გ ი ანუ ს ი ნ დ ა ქ ტ ი ლ ი ჰქვიან. ეს მაიმუნი დაეჭირათ ერთს კუნძულზედ, სახელად ს უ მ ა ტ რ ა, რომელიც აქედამ, ჩვენგან, შორს აღმოსავლეთისაკენ, ა ზ ი ი ს სამხრეთ მხარეზედ იმყოფება და გარშამო სულ ვეებართელა ზღვები არტყია. ამ ჯიშის მაიმუნი ერთიანათ შავი ბალნითაა შემოსილი, ტიტველა ადგილები მჭვარტლის ფერისა აქვს; სიმაღლით ერთი ადლია.

სხვათა შორის სწავლულს, თავის მოგზაურობის დროს, ეს მაიმუნიც თან ახლდა. სიამანგს გაგიჟებით უყვარდა ჭარხალი. ხშირად მაგიდას (სტოლი) ერთი თავიდამ მეორე თავამდის მოუვლიდა, რომ ჭარხლის ქერქის ერთი ბეწო ნაჭერი მიეღო. გემი ზღვაში ტალღებისაგან საკმაოდ ქანაობს ხოლმე; ეს მაიმუნიკი ისე ყოჩაღათ დადიოდა გემზედ, თითქო მიწაზედ იყოსო. და თუ ამ დროს რამე ნივთი სჭერია, არას დროს არ მომხდარა, რომ ხელიდამ დავარდნოდეს.

სიამოვნებით სვამდა ჩაის,ყავას, შეკოლადს; არაყეული სასმელები კი საშინლად ეჯავრებოდა. ხორცისა ყველაზედ უფრო ქათმის ხორცი მოსწონდა; ერთხელ ხვლიკიც სიამოვნებით შეთვლიფა. ტკბილი საჭმელები ხომ ისე უყვარდა, რომ, როცა კი იდროებდა, კაიუტაში (გემში ოთახებს კაიუტა ჰქვიან) შეიპარებოდა, ქილებს სახურავს ახდიდა და ,,პიროჟნებს''

მიირთმევდა. თავისუფლება მეტის-მეტად უყვარდა. ერ-თხელ მოიწადინეს გალიაში დამწყვდევა. ვერ წარმოიდგენთ რანაირად გაანჩხლდა ამაზედ! ასე რომ მერე ფიქრადაც აღარ მოსვლიათ სიამანგის დამწყვდევა.

ხომალდის თოკებზედ და ანძების ჯოხებზედ აცოცვით ხომ გააკვირვა მენავენი. რამდენჯერმე მოიწადინეს ამ ჯოხებზედ ასული მაიმუნის დაჭერა, მაგრამ ვერ ახერხებდენ; მისი ყოჩაღობა კი უფრო აკვირვებდა მათ. რამდენჯერმე მოინდომეს ჩამობმულ თოკზედ ასული მაიმუნის ჩამოგდება და ამისათვის, რაც კი ძალა და ღონე ჰქონდათ, თოკს აქანებდნენ, მაგრამ მაიმუნი მოსვენებით დასცქეროდა მათ ზემოდამ. ხანდისხან, როცა მხიარულ გუნებაზედ იყო, მენავეების ხელებზედ ჩამოხტებოდა და ისევ სწრაფად და მოხერხებულად დაუსხლტებოდა ხოლმე ხელებიდამ.

სიამანგს ანძების ჯოხებზედ ეძინა და მუდამ დღე განთიადისას, მზის ამოსვლისათანავე, ჩამოვიდოდა ძირს გემზედ...

როცა გემი ცივ ადგილში შევიდა, მაიმუნმა ოთახში ძილი მოინდომა. სურვილი აუსრულეს, მაგრამ შემდეგ, თუმცა გემი ისევ ცხელ ადგილებში მიდიოდა, მაიმუნმა ანძების ჯოხებზედ ძილი აღარ ისურვა. როცა დააპირეს ოთახიდამ მისი გამოყვანა, შეჰქმნა ისეთი კივილი და ისეთი ხვეწნა დაიწყო, რომ მალაუნებურად აუსრულეს სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ჩასვლისათანავე მილის თადარიგს შეუდგებოდა; პატრონთან მივიდოდა ხოლმე და ხვეწნას დაუწყებდა, რომ წაეყვანა და ლოგინში ჩაეწვინა. სიამანგის სურვილისასრულების უარყოფა თითქმის შეუძლებელი იყო. მაშინვე, როგორც კერპი და გარყვნილი ყმაწვილი, იატაკზედ გორვას დაიწყებდა და, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ჰხევდა, აქეთ-იქით გადისვრიდა, ჰფანტავდა. პატრონი ხშირად დარიგებას აძლევდა მაიმუნს, როგორმე ქურდობა გადაეჩვევინებინა. ,,დილა იყო, ამბობს სწავლული, მაიმუნის პატრონი: ოთახში ვიჯექი და ვსწერდი. შევნიშნე, რომ მაიმუნმა საპონის მოპარვა მოიწადინა. მე თვალს ვადევნებდი. სიამანგს ეგონა, რომ მე საქმეში გართული ვარ, აიღო საპონი და ოთახიდამ ფეხ-აკრეფით გადიოდა. მე არც მიმიხედნია იმისაკენ, ისე რამოდენიმე სიტყვა ვსთქვი, რომ შეშინებოდა. მაიმუნი მაშინვე დაბრუნდა და საპონი თავის ადგილას დადო, თითქო თავის უსამართლობასა ჰგრძნობდა.‘‘

როცა ჩაის ანუ ყავას დაუდგამდენ, ჯერ ენით გასინჯავდა სასმელს, ცხელია თუ არაო თუ ცხელი გამოდგებოდა, თავს გაიქნევ-გამოიქნევდა და მოთმინებით ელოდა სასმელის გაცივებას. მშვიდი, წყნარი, სასიამოვნო იყო სიამანგი და ამისათვის იგი ყველას შეუყვარდა.

იმ გემზედ სხვა წვრილი მაიმუნებიც იყვნენ. ესე-

ნი მომავალს შავს ბატონს კბილების კაწა-კუწით მი-გებებოდნენ ხოლმე. ამათი ამგვარი ქცევა არ მოსწონ-და და ამიტომ გადასწყვიტა ჯავრის მათზედვე ამოყრა. ერთხელ მოიდროვა, აცოცდა თოკზედ, ერთს პატარა მაიმუნს კუდში თავის ღონიერი კლანჭები ჩაავლო და აათრია ზევით. როცა ის საბრალო საკმაოდ მაღლა აათრია, კლანჭები გაუშვა და პაწაწა მაიმუნი ტყვია-სავით მირს დაეშვა. კიდევ კარგი, რომ გზაზედ სხვა ჩამობმული თოკი დახვდა, რომელსაც მარჯვეთ ჩაავ-ლო მან თავის პაწაწა ფეხები, თორემ ისეთს დაეცე-მოდა გემზედ, რომ გვერდებს ჩაიმსხვრევდა.

სადილზედ სიამანგი ჩემსა და კაპიტნის (გემის უფროსი) შუა იჯდა. როცა გემზედ მეოფი საზოგა-დოება, მეტადრე ჭამის დროს, მის სასაცილო ქცევა-ზედ სიცილს დაიწყებდა, იგი ჯავრობდა, ყეფის მსგა-ვსად ჰყვიროდა, და უსიამოვნოდ უყურებდა ბრიყვებს, ელოდა სიცილის გათავებას; შემდეგ ისევ საჭმელს ჭა-მას დაუწყებდა. უცნობ პირებს სიფრთხილით მიუა-ხლოვდებოდა ხოლმე.

შენც, შე საბრალო, ვერ გაუძელ ცივ ჰავას და მოჰკვდი. ვერ გაუძელი ჩრდილოეთის ცივ ჰავას ამი-ტომ, რომ შენი სამშობლო ცხელი ქვეყანაა. როცა გემი ცივ ქვეყანას უახლოვდებოდა, შენ მუდრო კუ-თხეში მოიკუნტე. სადღაა შენი ცოცხალი ხასიათი, შენი საამო სიმარდე? თითქმის მთელი დღეები ძილში

გაატარა საბრალომ. ვემის თოკებზედ და ბა[illegible]-ზედ მარდათ არბენ ჩამორბენა სრულიად დაავიწყდა და ბოლოს ავადაც გახდა მომაკვდინებელ ფაღარათობით. მანამდისინ ავად იყო, ყველა თანაგრძნობით კითხულობდა მის ამბავს და უვლიდნენ და სიკვდილი ყველასათვის სამწუხარო შეიქმნა.

უკანასკნელ წუთამდის შენ გამოიჩინე სწორეთ კეთილ-შობილური გრძნობა. შენ, თუმცა სიცივე გწყინდა და გეჯავრებოდა, მაინც გარეთ ყოფნას რჩეულობდი იმათთან ერთად ყოფნას, ვინც გიყვარდა და ვისაც უყვარდი; თბილს ოთახში კი შენ გარს მყოფთ არ უამებოდი...

ისკანდერ.

---

ამ ამბავის შინაარსი ამოღებულია გ ა რ ტ ვ ი გ ი ს თხზულებიდამ. ნაამბობია სწავლული ბ ე ს ნ ე ტ ი ს ა, რომელსაც ეკუთვნოდა ზემოდ ხსენებული მაიმუნი.

## ღარიბების შემწე.



თებერვლის ღამე იყო... დასავლეთის ცივი და გიჟი ქარი ღმუოდა, ზუზუნებდა და ჩემი ოთახის ფანჯრებს აყრიდა თოვლსა. ცოტა ხანს შემდეგ ფანჯრები თეთრად ჩამოლესა. მე ბუხრის პირ-და-პირ მედგა სტოლი; ზურგი გაჩაღებული ცეცხლისკენ მქონდა მიქცეული და წიგნს ვკითხულობდი. აქვე ჩემს გვერდით, დაცუნცულებდნენ ბავშვები, რომლებსაც გაკვეთილები გაეთავებინათ და რეზინის ბურთზე კინკლაობა მოსდიოდათ. მე წიგნის კითხვა გავათავე, ამოვიხვნეშე და წარმოვსთქვი:

— ეჰ, დედავ, დედავ! ისევ ღარიბი თუ უშველის ხოლმე ღარიბებს, თორემ სხვა არა ვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა თქვი, მამილო! მაშ ჩვენც ღარიბები ვართ, იმიტომ ვშველით ხოლმე ღარიბებს? მომვარდა უფროსი ვაჟი, რომელმაც ბურთი გააგდო ხელიდამ და თვალებში შემომცაცქანა.

— როდის შველი ხოლმე? აბა, სად და ვის უშველე, ჩემო კარგო?

— აკი მათხოვრებს პურს მოვუტეხთ ხოლმე? აი, იმ დღეს, თალიკო, აკი შენც ჩაუტანე მათხოვარს პური...

— ღარიბები მათხოვრები ხომ არ არიან. არჩილ! ყური დამიგდე: ისეთი კაცები დადიან კარის-კარს და თხოულობენ, რომელთაც არ შეუძლიანთ მუშაობა: ან ფეხი აკლიათ, ან ხელი, ან ბრმები არიან. ესენი ცოტანი არიან. ამათ ქვეყანა აცხოვრებს: ერთ დღეს იმდენ პურსა და გროშებს მოაგროვებენ, რომ რამდენსამე დღეს იცხოვრონ. მე ბევრს ისეთ მდიდარ მათხოვრებს ვიცნობ, რომ თავის ცოლ-შვილს ბატონურად აცხოვრებენ. ღარიბები იმათ უფრო ეთქმით, ვისაც ხელებიც ღონიერი აქვთ, ფეხები მაგარი, თვალები გამჭრიახი; დილიდამ საღამომდინ და საღამოდამ დილამდინ მუშაობენ და მუშაობენ... არჩილ! ყური დამიგდე, თალიკო, შენც არ დაგეძინოს!.. მუშაობენ და კუჭი კიდევ არა აქვთ მაძღარი; სველ ლუკმას თვეში ერთხელ ძლივს ეღირსებიან.

— ვინ არიან ის ხალხნი? რა ჰქვიანთ, ა? იკითხეს ბავშვებმა.

— იმათ თქვენ ყოველ დღე ჰხედავთ ამ ჩვენი ქალაქის ქუჩებში; იმათ ეძახიან გლეხ-კაცებს.

— აი, იმ დღეს ჩვენც რო რძე და ვარია ვიყიდეთ... ბებერი კაცი იყო; ისეთი გამხმარი ხელები კი ჰქონდა, რო-რო...

— ნეტა, თილიკო, გააწყვეტინა არჩილმა: პური მაინც მოგვეტეხნა იმ ბერი-კაცისათვინა.

— არ ითხოვა, თორემ, დედ-მამა არ დამეხოცება, მოვუტეხდი.

— იმათ თხოვნა არ იციან; მხოლოდ თუ მიგეცათ კი, გამოგართმევდათ. ვინ იცის, იმ ბერი-კაცის სოფელი აქედამ ორმოცისა, ან ოც-და-ათის ვერსის მანძილზეა; მთელი დღე და

ეროვნული

ლამე უნდება, რომ ჩამოვიდეს და ათი შაურისა რამე [illegible] და იმითი ცოლ-შვილისთვინ, ან სახლისთვინ რამე იყიდოს.

— ფეხებიც აქვთ, ხელებიცა, თვალთ არ აკლიათ, ლონივრებიც არიან, მაშ რატომ მდიდრები არ არიან? იკითხა არჩილმა.

— მიზეზები ბევრია; მათი ჩამოთვლა ეხლა შორს წავა; მხოლოდ გეტყვით, რომ გლეხი ჩვენი სიცოცხლის ძარღვია: აი, ეხლა შენ რომ თეთრ, ფუნთუშა პურს შეატან ხოლმე ჩაისა, ის პური ვისი მოყვანილია?—გლეხისა. ვისი გამომცხვარია?—გლეხის ცოლისა. ხედავთ, ჩვენი პური-მცხობელი თინა რა ნაირი აბრანძული კაბით მოვა ხოლმე. გლეხები ყველაფერს, რასაც კი ადამიანის ენა-პირი იტყვის, ჩვენ თითქმის სულ მუქთად გვაძლევენ: პურსა, ხორცსა, ქათამსა, კვერცხსა, რძესა და სხვანი; ისინი რომ არ იყვნენ, ერთს მშვენიერს დილას სიმშილით ამოვსწყდებოდით; ისინი ჩვენისთანა ხალხს მამობას უწევენ. თქვენ რომ ისწავლით, გაიზრდებით, ეცადენით, რომ მაშებს ვალი გადაუხადოთ, რითიც მოასწროთ, შეეწიოთ. ესე ჩემო კარგებო, როდია ძნელი. აი, ყური დამიგდეთ, როგორი ადვილია ღარიბების შეწევნა, თუ გულით მოინდომებს კაცი. მე ერთს ამბავს გეტყვით.

— ეხლა ხომ იმაზე არა კითხულობდი წიგნსა?

— ჰო, სწორედ იმაზე ვკითხულობდი. თუ პირობას მომცემთ, რომ ყურს დამიგდებთ, გიამბობთ.

— შენი ჭირიმე! ოღონდაც თქვი და...

— ძალიან კარგი. ის კაცი, რომელზედაც მე უნდა გებაასოთ, ჩვენებური, ე. ი. ქართველი არ არის, მაგრამ კარგი კაცი ყველა ხალხებშია: ქართველებშიც, ფრანცუზებში, რუსებშიც და სხვ. ძარგი საქმისა და კარგი კაცის მიბაძვა, სადაურიც გინდა იყოს ის კაცი, უნაყოფოდ არ ჩაუვლის ადამიანს... ჰო, ის კაცი, რომელზედაც მე მსურს თქვენთან ბაასი, არის ფრანცუზი.

თითქმის ამ ას ორმოცი წლის წინად, ათას შვიდას ორ-მოცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა წელსა, საფრანგეთის ერთს პაწია ქალაქში, სახელად მონტ-დიდიეში, სცხოვრობდა თურმე ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი დედა-კაცი. ეს ერთობ კეთილი, მაგრამ უიღბლო ქალი იყო. საბრალო, ამ ცისმარე დღე წელებზე ფეხს იდგამდა, წელში სწყდებოდა, რომ როგორმე ფეხზე წამოეყენებინა თავისი ღარიბი ოჯახი. ეს ქალი წვრილ-შვილი იყო; ობლებს რჩენა უნდოდათ: დილიდამ საღამომდე, ბევრჯელ საღამოდამ გათენებამდე მუშაობდა, რომ ობოლი შვილებისათვის ლუკმა პური მოეპოვებინა, რომ შიმშილით ხელში არ გამოსცლოდენ. ხანდისხან საბრალო დედას ეს გაუწყვეტელი შრომა-მუშაობა ფუჭადაც ჩაუვლიდა ხოლმე: ბევრს დღეს დაალამებდენ და ღამეს გაათენებდენ, რომ პური თვალითაც ვერ ენახათ.

ფვარი ამ საცოდავი ქვრივისა იყო ანტუან-პარმანტიე... ეს ქმრის ხელში ბედნიერი იყო, მაგრამ ქმარი მოუკვდა თუ არა, მაშინვე ყველა ქმრის მეგობრები ჩამოეცალნენ; საზრდოს შემომტანი რაკი მოაკლდა სახლსა, ესენიც სიღარიბეში ჩაცვივდენ. განწირულის თვალით უცქეროდა თავის მომავალ ბედს... მაგრამ ეს ქალი არც აგრე უბედური იყო: იგი ჯერედ ახალგაზდა იყო, ღონიერი და არც უჭკუო; ცოტ-ცოტა ყველაფრიდამ იცოდა; ამასთან იყო ძიელ პატიოსანი, ღვთის მოყვარული, მაგარი ხასიათისა. მიენდო თვის ხელებს, თავის საკუთარს ჯანს და შეებრძოლა სიღარიბეს. მაგრამ ბოლოს იქნამდინ მიიყვანა ამ დაუღალავმა ბრძოლამ, რომ დასნეულდა, ჯანმა კვნესა დაუწყო. ცალკე ჯანის კვნესა, ცალკე შვილების არა სანატრელი მდგომარეობა, საბრალო დედას ღვიძლზე ცეცხლს უკიდებდენ და სანთელივით აღნობდენ. იწვოდა და იდაგებოდა ქვრივი, მაგრამ ერთი კრინტი არ დაუძრავს თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, რომ შვილები არ შეეწუხებინა და გულები არ დაეხეთქნა; იწვა ტახტზე და შეჰყურებდა მათ; ისინიც დედას თავით მოსხდომოდენ და ჩასტიროდნენ. როგორც იყო, დაუძახეს ექიმს... ამანაც წამალი დაუწერა; მაგრა რა? რითი უნდა ეყიდათ წამალი? სად უნდა ეშოვათ ფულები? ამასობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კიდევ კვდება... აი, თითქო, კიდევ მოკვდა, მაგრამ [illegible]ლების ბედმა იმუშავა: დედა ისევ ცოცხლებშია...

— ვინ არის ამის პატრონი, ვინ დაიხსნის ამ შეჭირვებულს, ამ ქრისტიან სულს? წაი[illegible]უტუნა მეზობლიანთ დედა-ბერმა, რომელიც სტიროდა და ევედრებოდა ღმერთს.

— ღმერთი, იმისმა მადლმა, ღმერთი! ამოიღუღლუღა ავადმყოფმა.

— და მე, დედი-ჯან! მტკიცედ უპასუხა ავად-მყოფს დედას უფროსმა ვაჟმა, სახელად ავგუსტმა.

ამ სიტყვების თქმა იყო და პატარა ავგუსტმა, რომელიც მაშინ თორმეტი წლისა იქნებოდა, წამოავლო რეცეპტს (ბარათი, რომელზედაც ექიმი წამლის სახელს სწერს), რომელიც ექიმმა დასწერა, დაეკონა დედას, სულ ერთიანად გადუკოცნა თავ-პირი და უთხრა:

— ნუ გეშინიან, დედილო! პატარა-ხანს მომითმინე!.. და გამოვარდა ოთახიდამ.

ნახევარი საათის შემდეგ ავგუსტ ანტუანი მოიჭრა დედასთან და ღიმილით მისცა მას წამალი. დედამ დალია; მიეცა ძილს; ოფლმა გადაჰკრა; მოჯობინება დაიწყო.

— შვილო, გენაცვალოს დედა! საიდამ იშოვნე წამალი? შენ ამისთანა წამალი ვინ მოგცა, რომ სიცოცხლე გამომიბრუნა?..

— შენი ჭირიმე, დედა, ნუ დამიმადლებ, ნუ!!

— მაშ, შვილო, საიდუმლოდ უნდა დარჩეს ჩემი მორჩენა? მაშ ნუ გავიგებ?

— დედა, აქ საიდუმლო რა არის? აი, როგორი იყო საქმე: შენ რომ ძლიერ დასუსტდი, გახდი და გაყვითლდი, თითქმის სიკვდილის პირს მისდექი, მე თვალს გადევნებდი; გული მეწოდა და უთხარი ჩემს თავს: „ბიჭო, შე ასეთ-ისეთო, როცა ბედი სიკვდილს კარს მოგაყენებს და იგი აღარ აგცდება—ეს კიდევ ჰო! მაგრამ ამისთანა სიკვდილი, როცა ეს მოგვდის გაჭირვებისა გამო, ცუდია მეთქი... ვეცი ექიმის რეცეპტს, გავექანე ჩვენს მეზობელ აფთიაქართან (წამლების მკეთებელთან) და ესთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეე ის ჩვენთვის უძვირფასესი წამალი, რომელიც შენთვის [illegible] საჭირო... ეჰ, დედა! უფულოდ სიცოცხლე არ შეძლებულა, არა! ჩვენი მეზობელი—აფთიაქარი გაქვავდა, არ შემიბრალა, მინამ ხერხი არ უგდე.

— ბატონო, შევთხოვე გულ-ქვა მეზობელს: მომე წამალი; დაიხსენ დედა ჩემი სიკვდილისაგან და მე ჩემს სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთ; ვიცხოვრებ მარტო იმიტომ, რომ შენ გემსახურო; მე ჯანმრთელი და ღონიერი ვარ, არც უგუნური ვარ... მაშ, ბატონო, მოწყალება მოიღეთ, მიბოძეთ წამალი და, სამაგიეროდ, მიიღეთ ჩემგან ფულები კი არა—მთლად ჩემი თავი: მე თქვენი შეგირდი გავხდები... თქვენი მოსამსახურე, თქვენი!.. მიბრძანეთ და მე თქვენი... მონა გავხდები.

აფთიექარი შეჩერდა, ცოტა შეფიქრიანდა. ბოლოს, როგორც იყო, შემიბრალა, მომცა ეგ წამალი, რომელმაც შენ გიშველავათა. მე ხვალიდამ უნდა იმის აფთიაქხანაში ვიარო სამუშაოდ. აი, ასე კი იყო.

დედა იქნამდე გაოცა შვილის საუბარმა, რომ ვერა სთქვარა: როცა კაცს სიხარული აიტანს, მაშინ მას სალაპარაკოდ ენა აღარ ემორჩილება.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ავგუსტმა წამლების კეთება ისწავლა. მონტე-დიდიედამ პარიჟში გადავიდა, და, აი, იქიდამ რა მოსწერა თავის საყვარელ დედას: „მე ბევრი მწუხარება გამოვიარე, ბევრი ვიტანჯე. მე ხშირად ვწყევლიდი წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც; გადავიწყვიტე იმედი ხალხზედაც და ღმერთზედაც. მაგრამ ბოლოს ღმერთმა შეისმინა ჩემი ვედრება; ხალხმა მიშველა; სწავლა-მეცნიერებამ სულით შემიმაგრა. დედა! ნულარ იწუხებ, ნულარც იდარდებ. ჩემი ეხლანდელი მდგომარეობა კარგია და ამისაგამო თქვენი მოხუცებულობაც გაშელავათებულია: მეფემ ბრძანა, დამნიშნონ მე აფთიაქრის თანაშემწედ ჰანოვერის ჯარში. მე ამისთანა პატივს არ მოველოდი...“

ომიანობის დროს ავგუსტმა საკვირველი მამაცობა და კაცთ-მოყვარობა გამოიჩინა: ხუთჯერ გადავარდა გახურებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში, რომ დაეხსნა თავისი დაჭრილი თანამოძმეები, რომლებიც სისხლის-დენით იწრიტებოდენ და ხუთ-ჯერევ მამაცი ანტუანი მტრებმა ტყვედ წაიყვანეს. ბოლოს ის ჰერმანიაში მოჰყვა ტყვედ. ტყვეობა მუქთად არ ჩაიტარა: მიჰყო ხელი სხვა-და-სხვა მეცნიერული საგნების შესწავლას; შეისწავლა მათემათიკა, ფიზიკა და განსაკუთრებით ქიმია. ავგუსტს ჩამოართვეს პატიოსანი სიტყვა, რომ ის ტყვეობიდამ სამშობლოში არ გაიქცევა და ამოირჩევს ვისიმე სახლს საცხოვრებლად. ეს გადავიდა იმ დროში გამოჩენილ კაცთან მეიერთან, რომელიც პირველი აფთიაქარი და იმ დროის გამოჩენილი ქიმიკოსთაგანი იყო ჰერმანიაში. ავგუსტი მუყაითად მოეკიდა აფთიაქში მუშაობას. მეიერს ჰყავდა თექვსმეტის წლის ქალი, რომელსაც, მგონი, სახელად მარგარიტა ერქვა. მთელი ქალაქის თვალი იყო ის ქალი სილამაზით და კარგი ზნით. ავგუსტს მეიერის ქალი შეუყვარდა. როდესაც სახლის პატრონები სადილს, ან საუზმეს მიირთმევდენ, ავგუსტი თავის ოთახში შევიდოდა, იქ პურსა და წყალს შეექცეოდა და თან მშვენიერ მარგარიტაზე და თავის საყვარელ სამშობლო ქვეყანაზე ფიქრობდა.

ერთხელ მეიერმა მიიპატიჟა თავისი სტუმარი-შეგირდი საუზმეზედ. ავგუსტი დაჰყაბულდა, მაგრამ ამ ჟამად იგი უმადოთ იყო: ვერც ჭამა, ვერც დალია რიგიანად; ამასთან ძალიან ჩაფიქრებული და არეული იყო. მაგრამ თავის კერძს კი თვალს არ აშორებდა. ჯამს რომ ამოუყრია, რაღაც მურკლები დაინახა. ავგუსტს ეს საჭმელი შეეზიზღა და ზედ ველარ დაეკარა.

— ძაცო, რა დაგემართა? ჰკითხა მეიერმა.

— მე გული ამირია, ე რაღაც რგვალი ნაყოფი ჰყრია ჯამში... რა არის ეს, რომ ასე მაზიზღებს?

— ძართოფილია, მიუგო მეიერმა.

— ძართოფილი!? ჩვენში, საფრანგეთში, ამას მარტო ღორებს აჭმევენ.

— ჩვენში, კი, ჰერმანიაში, ამას აჭმევენ ხალხსა, — ეს უფრო სასარგებლოა, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო მეიერო! განა თქვენ არ იცით, რომ ეს საძაგელი ნაყოფი ხალხსა სწამლავდა, წყლულ მუწუკს აყრიდა ტანზე?

— მგ უგუნურობა მარტო ძველად სწამდათ.

— განა არ იცით, რომ ეგ კართოფილი ეხლაც აჩენს ციებცხელებას და სხვა სატკივრებსა?

— მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ კართოფილი ასაზრდოებს ხალხს... თქვენ მეცნიერი კაცი ხართ, ბატონო ანტუანო, უნდა ცდილიყავით, რომ ეს ნაყოფი საფრანგეთშიაც გაგეჩინათ, რომ იქაური ღარიბ-ღატაკი ხალხი შიმშილით სიკვდილისაგან დაგეხსნათ.

— მართლა ამბობთ თუ?

— აი, ბატონო, სცადეთ.

— ვსცდი.

— შემომფიცე, თუ ღარიბი ხალხის სიყვარული გაქვს, რომ...

— გეფიცებით, გეფიცებით! გააწყვეტინა ანტუანმა.

— მადლობა ღმერთსა! მე დღეს დავიწყე კეთილი საქმე, რომელსაც თქვენ, ადრე თუ გვიან, თქვენს სამშობლოში დაათავებთ.

ავგუსტმა მეიერის სახლში ექვსი თვე იცხოვრა. ამ დროს განმავლობაში სწავლობდა ქიმიას, ყოველ დღე კართოფილს სჭამდა; არც ციება შეჰყრია და არც სხვა ავადმყოფობა. თავის თავზე დარწმუნდა კართოფილის სარგებლობაში. ამასობაში მშვენიერი მარგარიტას სიყვარულიც დაიმსახურა. მეიერმაც შეატყო ამათ ეს. დატყვევებულ ავგუსტ-ანტუანს კრინტი რომ დაეძრა მეიერისთვინ იმის ცოლობაზედ, ის მაშინვე მიათხოვებდა იმას და მზითევში გაატანდა თავის გამართულ აფთიაქს და დიდს სიმდიდრეს.

ამ ხანებში ავგუსტი გაამთავისუფლეს: ამას მოაგონდა საყვარელი დედა; მოსწყურდა სამშობლოს ნახვა, და ამან მარგარიტას სიყვარულიც დაავიწყა, სიმდიდრეც, რომელნიც მას ჰერმანიაში მოელოდნენ. ამან თავისი ღარიბი სახლი, თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურფა სამშობლო და სიღარიბე ირჩია, რომელნიც მას სამ-შობლოში მოელოდნენ.

ანტუანმა პარიჟში აფთიაქრობა დაიწყო. ერთს დილას ანტუანს ბეზანსონის აკადემიიდამ ფოსტით წინადადება მოუვიდა, რომ დიდი საჩუქარი მიეცემა იმას, ვინც იმისთანა რამეს მოიგონებს, რომელიც ღარიბ ხალხს შიმშილობის დროს პურის მაგიერობას გაუწევსო. წაიკითხა თუ არა ეს შესანიშნავი წინადადება, მუშამ მოჰკრა კარებს ფეხი და შეაღო. მუშა-გლეხმა დაუშვა ხალიჩაზე დიდი ტომარა და გოდორი, მოიწმინდა შუბლიდამ ოფლი და მოახსენა:

— ბატონო აფთიაქარო! აი, შენი ჭირიმე, ეს საქონელი ჰერმანიიდამ მოვიდა შენს სახელზედ.

ანტუანმა ახადა გოდორს, ზედ იპოვნა ბარათი, ნაცნობი და იმისთვის ძვირფასი ხელით დაწერილი, შემდეგის შინარსისა:

„თქვენ იქნება კიდეც დაივიწყეთ მარგარიტა, მაგრამ მე კი მარად მეხსომებით თქვენ და ის აღთქმა, რომელიც თქვენ მე მომეცით ქალაქ ფრანკფურტში. გიგზავნით ერთს ტომარას და ერთს მოსაკიდს (გოდორს) კართოფილით. ეს კართოფილი დასთესეთ სადმე მიყრუებულ, მოცლილს ალაგზე, და როცა, ჩემო მეგობარო, თქვენ ნაყოფს მოითვლით, დაურიგეთ თქვენს ნაცნობ ღარიბებს მარგარიტას მოსახსენებლად.“

ეს წერილი იყო მეიერისა. წაიკითხა თუ არა, ანტუანს მაშინვე გაუელვა თავში ფიქრმა, რომ სწორედ ამ კართოფილს შეეძლება გაუწიოს პურის, ფქვილის მაგიერობა ღარიბ ხალხს. შეეცადა ბეზანსონის აკადემიის აზრის შესრულებას, რომ საჩუქარიც მიეღო და ხალხიც გამოეხსნა შიმშილისაგან. დასთესა კართოფილი. კიდევ იწვრილა, იკვლია და დარწმუნდა, რომ კართოფილს პურობა შეუძლია უყოს კაცსა. მოინდომა ჯერ საგლახო სახლში გლახებისათვის ეჭმია, მაგრამ გლახების ყურის მგდებელმა, დაინახა თუ არა ეს დარკოლილი ნაყოფი, გული გაუსკდა და ისე მოერიდა, როგორც ეშმაკს. აფთიაქში

მოსამსახურე პირნი აუტყდნენ და საცოდავი ანტუანი კართო-ფილის გამო აფთიაქიდამ დაითხოვეს.

ანტუანმა მიმართა მინისტრებს, დიდ-კაცებს, მაგრამ ზედაც არ შეხედეს. დარჩა ამათგან ხელ-ცარიელი, მაგრამ სულით არ დაეცა. წავიდა მსწავლულებთან, მეცნიერებთან, ყველას არწმუ-ნებდა, რომ კართოფილი სასარგებლო, უვნებელი ნაყოფია, მაგრამ არც ამათ დაუჯერეს: ეგ ცარიელი ციებ-ცხელებათა, მუწუკების და თიადორების გამჩენიაო. ყველა დასცინოდა, მას-ხარად იგდებდა ანტუანის დაწყობილობას. ასე გაშინჯე, ხალ-ხიც კი დასცინოდა თავის კეთილის-მყოფსა.

გაუჭირდა საქმე. მაგრამ ხალხის სიყვარულმა არ დააყენა: ის პირდაპირ მეფესთან მიიჭრა. ლუდოვიკო მე-XVI-მ, საფრანგე-თის მეფემ, გულხმიერად მოუსმინა ყოველის ფერი ხალხის გა-საოცარ მოყვარეს.

მეფემ უბრძანა, მიეცათ ანტუანისთვის ას რვა დღის ცა-რიელი მიწა. ანტუანმა დასთესა კართოფილი. რამდენიმე ხანის შემდეგ ფოჩი ამოიხეთქა, აყვავდა; ანტუანის სიხარულს საზღვა-რი არა ჰქონდა; მას თავბრუ დაესხა. დაჰკრიფა ყვავილები და გახარებული გაქანდა მეფესთან.

— მეფევ! ყვავილი გამოიღო. იმედი მაქვს, რომ ნაყოფსაც გაიკეთებს. საწყალი ღარიბი ხალხი თქვენი მადლიერი უნდა იყოს, რომ იაფი საზრდო გაუჩნდებათ.

— არა, უთხრა მეფემ: საფრანგეთი მადლობას გადაგიხდის თქვენ, როგორც *ღარიბების* შემწეს, იმისთვის, რომ იპო-ვეთ *პური ღატაკებისათვის*.

მეფემ ყველა დიდ-კაცებს აჩვენა კართოფილის ფოჩი ყვა-ვილებით; ყველას იამა, გაუკვირდათ და საღამომდინ სერთუკე-ბში გარჭობილი ჰქონდათ ეს ყვავილები. მეორე დღეს პარიჟში სულ ავგუსტ-ანტუან-პარმანტიეზე ლაპარაკობდენ. მეფემ თიატ-რში თავის გვერდზე მოისვა; ხალხმაც გაიგო მისი აზრი. ყო-ველგან სიხარულით და სიყვარულით ეგებებოდენ; დიდ-კაცობა

თითქმის თაყვანსა სცემდა. მწერლები ლექსებით ამკობდნენ და სწავლული და მეცნიერი კაცები სადილებს უმართავდნენ...

---

— ბავათავე, ყმაწვილებო, ავგუსტ-ანტუან-პარმანტიეზე ლაპარაკი. თქვენ ჰხედავთ, რომ ის იყო თავის მშობელის, თავის სამშობლოს და ღარიბი ხალხის სულით და გულით მოყვარული. მაგრამ საკვირველია ხალხის საქმე: იმას დაახსომდება და არაკად გადასცემს ხოლმე შვილებს და შვილი-შვილებს ისეთი კაცების სახელებს, რომლებიც ქვეყნებს იკლებდნენ, ავაზაკობდნენ; ახსოვს და იგონებს თავის ტვინის მწოველებს; მაგრამ იმ დროს, როდესაც შიმშილისა და სიღარიბის დროს თავს ირჩენენ სხვათა შორის *ლატაკების პურით*—კართოფილით, სოფლებისა და ქალაქების ღარიბებს არ ახსოვთ, არ იციან სახელი იმ ნამდვილი თავისი მეგობრისა და შემწესი, რომელმაც იმათ საცხოვრებლად კართოფილი გაუჩინა.

ღარიბმა ხალხმა არ დაივიწყა ანტუანი: იმას მადლიერმა ხალხმა დაუდგა ძეგლი თავის დედა-ქალაქში მონტ-დიდიეში, დაუდგა იმ სახლის გვერდით, სადაც, ჯერედ პატარა ანტუანმა, სიკვდილს გამოჰგლიჯა თავისი დედა...

ს. მგალობლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მელიას ცუღლუტობა.

(გიოტეს პოემიდამ „რეინეკე ლის“, რუსულით)

ბრწყინვალე მაისის დღე იყო. ბუნება ათას ფერათ იყო აჭრელებული. მწვანით მოსილი მთა-გორები და ხავერდის მსგავსი ქორფა ბალახით და ფერად-ფერადი ყვავილებით მორთული მინდვრები სასიამოვნო სურათს წარმოადგენდნენ. ნადირთა მეფეს, ლომს, მოეწოდებია თავის ვეზირები, ბრძენი კაცები და ყველა ქვეშევრდომები. ყოველი მხრიდამ იწყეს მოსვლა. დიდი და პატარა ყველანი მოეშურებოდნენ დანიშნულს ალაგს. ყველანი შეიკრიბნენ, მხოლოდ მცბიერი მელა არ გამოცხადდა. მელიას ამბავი ხომ ყოველმა კაცმა იცის. იმას ყველანი შეწუხებული ჰყავდა; არაფრით არ ზოგავდა არავის, არც სიტყვით და არც საქმით. ყველას ლანძღავდა, ყველას ცარცვავდა და, თუ დაახელებდა, დასაკლავათაც არავის ზოგავდა.

როდესაც შეიკრიბნენ, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. შუაზედ იდგა ნადირთა-მეფისათვის ტახტი. შემობრძანდა ლომი, ავიდა ტახტზედ და მრისხანედ დაბრძანდა. საყოველთაო სიჩუმე ჩამოვარდა.

პირველად წარმოსდგა ნადირთ-მეფისა და პატივცემულის შეკრებულობის წინაშე მ გ ე ლ ი და განაცხადა საჩივარი მელაზედ, რომ იმისგან ბევრი დაცინება და ცუდი საქმე შემხვდა და სამართალს გთხოვთო.

შემდეგ საჩივარი განაცხადა კუდ-ამოძუებულმა, მშიშარა მურა-ძაღლმა: „—ბატონებო! რაღაც ბედათ, ამას წინეთ ერთი კარგი მოზრდილი ქათმის ბარკალი ვიშოვე და, ისიც იყო ჰა-

ეროვნული

მას ვემზადებოდი, მომეპარა წყეული მელია, უცებ გამომტაცა და გაუყენა გზას!“

ამ დროს ქატამაც შეჰქმნა კრუტუნი: „გირჩევნია გაჩუმდი, შე უნამუსო, შენა! შენ ვინ მოგცა ის ქათმის ბარკალი? საიდგან იყო შენი? მე არ მომპარე?..“

ამათ გარდა ბევრმა სხვებმაც უჩივლეს მელას და ყველანი ერთ-ხმით ამბობდნენ, რომ ის სწორეთ ბოროტი და გაუტანელი ვინმეაო. მუდამ იმის ცდაშია, რომ ვინმე მოატყვილოს, რამე გამოალალოს ხელიდგან, რომ ვინმე შეაწუხოს, ვისმე აწყენიოს... სწორეთ უწმინდური რამ სულიერიაო.

მარტო მაჩვი გამოესარჩლა მელას—ძმის-წული ყოფილიყო მისი—და ჰსთქვა:

„—პატივ-ცემული ბიძა ჩემი არ გახლავსთ აქ და მიტომ ლაპარაკობენ ასე, თორემ, ის რომ აქ იყოს, ხმასაც ვერავინ ამოიღებდა. Თვით ბიძიას ბევრი შეურაცხება აუტანია და ბევრი მწუხარება შეხვედრია ბატ. მგელისაგან... Ერთხელ, ბატონებო, ერთმანერთს შეჰფიცეს, მაგან და ბიძა ჩემმა, რომ, რაც ვიშოვოთ, ყველაფერი ძმურათ შუაზედ გავიყოთო. ბიძია ისე თავ-გამომეტებით გაისარჯა ერთ საქმეში, რომ კინალამ წააგო თავის სიცოცხლე და, აბა, ჰკითხეთ, მაგ როგორ მოიქცა მაშინ. ჰსთქვას თავის პირით სინიდისის ქვეშ!.. Ერთხელ საშოვარზედ წავიდნენ... Დაინახეს, რომ ერთ გლეხს ურმით თევზი მოჰქონდა. Ბაიქცა მელა-ბიძია, გაუსწრო ურემს წინ და გაიშხლართა გზაზე; ისე ეგდო სულ განაბული, კაცი იფიქრებდა, მკვდარიაო. Გლეხმა რომ მელა დაინახა, ჯერ ნაჯახის თქვლეფა მოუნდომა თავში, მერე იფიქრა: ,,რას ვსულელობ, ბეწვს მაინც რათ ვახდენ, ის არ სჯობია, მთელი ტყავი წავიღოო, უფრო კარგ ფასს არ მომცემენო.‘‘ Აიღო და თევზთან ურემზე დადვა, ზევიდგან ჰილობი გადააფარა. Მელიამ ურემს ფსკერი გაუხვრიტა და თევზებს იქიდამ ყრა დაუწყო. Მაშინ თქვენ, ბატონო მგელო, ურემს ნელ-ნელა უკან მიჰყვებოდით და ლაზათიანად თევზს შეექცეოდით... Მერე, როდესაც ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ჩუმათ ურმიდგან გამოძვრა და თქვენთან მოვიდა, [illegible] თევზი სულ გაგვეთავებინათ, ძვლების მეტი აღარა იყო რა... აი, ბატონო, ამისთანა საქმეებს უშვრებიან ბიძა-ჩემს. Tვით თქვენი პატიოსანი ყურით გაიგონეთ აქ, რომ გლახა-ქურდი ძაღლიც კი იმას ბრალსა ჰსდებს. როგორ არ გადიდდება ცოდვა!.. ბატონი მეფისა მზემ, სულ დასახჩობი არიან ყველანი ეს მომჩივნები. აქ, თქვენ წინაშე, ცხადათ დამტკიცდა, რომ ძაღლი თვით ქურდი და ავაზაკი ყოფილა. როგორ მოუთმენდა ბიძიას გული, რომ მაგ არ დაესაჯა?..“

როდესაც მაჩვმა თავის სიტყვა დაასრულა, შეჰხედეს, რომ მამლებს დაუყრიათ თავი და მოდიან; მოდიან დაღონებულნი, მწუხარებისგან ბიბილოები გალურჯებიათ. მოდიან და ჰყივიან, მაგრამ მათ ყივილში მწუხარების ხმა მოისმის. Tან მოაქვთ ერთი ლამაზი, ჭრელი მკვდარი ვარია. მოვიდნენ, ნადირთ-მეფეს და შეკრებილებას მძიმეთ თავი დაუკრეს და ვარია წარუდგინეს. წარსდგა უფროსი მამალი და მოახსენა, მაგრამ ნამეტნავად გულ-ადუღებული ცრემლებს ვეღარ იკავებდა და ქვითინი სიტყვას აწყვეტინებდა ხან-და-ხან:

„—მელიას ბოროტებამ განუზომელ მწუხარებაში ჩამაგდო, მომგლიჯა გულიდამ საყვარელი ჩემი ქალი. ამ მოხუცებულების ჟამს ვფიქრობდი ჩემს ძვირ-ფასს ცოლ-შვილში ბედნიერად გამეტარებინა სიცოცხლე, მაგრამ, საუბედუროთ, მუხანათი მელია გვეწვია, მეგობრობა გამოგვიცხადა, ისეთი სახე გვიჩვენა რომ ვსთქვით, ეს თავის დღეში ცუდს აღარას ჩაიდენს-მეთქი და თამამათ წავედით მასთან ერთად სასეირნოდ ერთს მინდორში. Tამაშობაში და ხტუნაობაში ისე გავერთეთ, რომ დიდზე დავშორდით ჩვენს საქათმეს. Tურმე ბოროტ-მოქმედი ყველაფერს იგონებდა, ჩვენი შორს გატყუება უნდოდა და, როდესაც დაგვიმარტოხელა, დაგვერია და სულ ამომიწყვიტა ცოლ-შვილი. პირველად შესჭამა მეუღლე ჩემი—კრუხი; უფროსს ვაჟს—ყვინჩილას ყელი გამოსჭრა; ბოლოს ვარიას ჰსტაცა პირი. ამ დროს ძაღლებმაც გაიგეს, შეჰქნეს ყეფა და მოგვაშორეს; პირიდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი დააგდებინეს ეს საბრალო იმ წყეულს, მაგრამ ცოცხალს ველარ მოუსწრეს... ცეცხლი მედება გულზე, ვიტანჯები მწუხარებისაგან და გევედრები, მძლავრო ნადირთა-მეფეო, სამაგიერო მიუწყოთ ჩემს დამტანჯველს!..“

განრისხდა ლომი და ბრძანა:

—ამ წამში აქ დაიბარეთ მელა! მე ის უნდა ღირსეულად დავსაჯო, რომ ამიერიდგან ველარ გაბედოს ბოროტების ჩადენა! ეს უმანკო მსხვერპლი კი ღირსეულად დაასაფლავეთ... იცოდეთ, მაგის საფლავზედ საუცხოვო ძეგლი უნდა იქნეს აგებული.

მელიას მოყვანა იკისრა დათუნიამ. „მე ის ვერსად წამივა, დანიშნულ ვადაზე აქ იქნებაო!“ სთქვა.

## II

დათუნია თამამათ წავიდა მელიას საძებრად, რადგან ღონით ნაქებია და, ამის გარდა, გამოჩენილი ადგილიც უკავია ნადირთ-მეფის, ლომის, სასახლეში—ერთი წარჩინებულთაგანია. იარა-იარა და მივიდა მელიას სადგურზე, რომელიც იმ ნაირად შემოზღუდული იყო, რომ ვერავინ შევიდოდა შიგ მელიას უნებურად. ზღუდეს ჰქონდა მრავალი საიდუმლო საძრომები; რაც უნდა კარგი მეძებარი ყოფილიყო, მეტად გაუჭირდებოდა იმის ხვრელების მოძებნა და შიგ შესვლა. ეს რომ დათუნიამ ნახა, ცოტა-ხანს შეჩუმდა, არ იცოდა რა ექნა, როგორ შესულიყო ზღუდეში. ბოლოს გარდაწყვიტა, აქედგან მოველაპარაკებიო და დაუძახა:

—მელია, მელია! ბიძა-შვილობას ერთი აქეთ გადმომხედე, სიტყვა დამაბარა შენთან ბატონმა ლომმა: ბრძანა გამოცხადდე სამსაჯულოში და, თუ ამ საათში არ წამოსულხარ, ძალიან დიდ დანაშაულობათ ჩამოგართმევენ, შეიძლება მისი ორ-გულობაც დაგწამდეს!

— ბატონო ბიძია! უპასუხა მელიამ: ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე ამჩატებულხართ და არაფრად ჩაუგდიხართ ლომსა.. რა თქვენი საქმე იყო ამ სიშორეს წამოსვლა! ეს ქურდღელსაც ნუ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართოს ღმერთმა, ან ერთ გლახა მეძებარს!... ნეტავი გრძნობა მაინც მქონდეს თქვენი საკადრისი, რომ გიმასპინძლოთ. სამწუხაროდ ჩემდა, ერთ ნაჭერ ხორცსაც კი ვერ იშოვნის კაცი ახლა ჩემს ოჯახში, რადგან მე ამ ჟამად ვმარხულობ და ხორცს არ გიახლებით. ცოტ-ცოტა კიპრუჭს თუ შევჭამ ხან-და-ხან, თუ არა მეტი ჩემს პირში არაფერი ჩადის... ამ მარხულობისაგან უძლურათაც შევიქენი. რომ ასე არ იყოს, ახლავე გიახლებოდით და მეფის ბრძანებას ავასრულებდი!..

— კიპრუჭი თუ კი გაქვს, მეტი რაღა გინდა? ღმერთო, რა საუცხოვო საჭმელია! აღტაცებით წამოიძახა დათუნიამ. და კიპრუჭის ხსენებამ პირზე ნერწყვი მოჰგვარა.

— რას ბრძანებთ, ბიძია? მართლა მოგწონთ კიპრუჭი? აი, აგერ ჩემს მეზობელსა ჰყავს ფუტკარი, თუ გნებავთ.

— შენი ჭირიმე, წამიყვანე, ერთი პირი ჩამატკბილებინე და რა გინდა ჩემგან! სამაგიეროს ჩემგანაც მოელოდე. იმდენი მტერი რომ გყავს, ერთს სიტყვას მაინც ვიტყვი შენს სასარგებლოდ...

— ბატონი ბრძანდები, მშვენიერ თაფლს მოგართმევ; არც შორს დაგვჭირდება ამის გულისათვის წასვლა. სულითა და გულით მსურველი ვარ, რითაც შემიძლია, პატივი გცე და, თუ კი რითიმე გასიამოვნეთ, ჩემს თავს ბედნიერად ჩავსთვლი!

წაუძღვა დათვს წინ მელია, გადიყვანა მეზობლად ერთი გლეხის ეზოში... ღამე იყო. წინა დღეს საღამოს ამ გლეხმა მოინდომა ერთი დიდი ხე-რგვალის გაპობა. დაჭრა ცული, გაუბზარა ხეს ერთი ბოლო, მისცა სოლი და იმ ღამეს ისე დასტოვა. მელამ ჩვენი დათუნია ამ ხე-რგვალთან მიიყვანა და უთხრა: ამ გაპზარულში ტუჩი ჩაჰყავი და თაფლი მიირთვიო. დაუჯერა დათუნიამ, ჩაჰყო შიგ ტუჩი. ამ დროს მელიამ ხეს უცებ სოლი ამოაცალა და, იმისთანა შენს მტერს, დათუნიას საქმე მოუვიდა! ისეთ ნაირად მოუჭირა ხემ ტუჩზე, რომ კილამ წააგლიჯა. მელიამ დაცინებით უთხრა დათვს: ხომ ჩაიტკბილე პირი, ხომ კარგი თაფლი გაჭამე. და გაიქცა.

შეჰქნა დათუნიამ „ვინ ხარ მამაცის“ ყვირილი. მისმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრიალმა გლეხები გამოაღვიძა; გამოვარდნენ გარეთ, [illegible] წალს (ორ-თითი) მოარბენინებს, ვინ კეტს, ვინ ცულს: უნდათ დათვზე ჯავრი ამოიყარონ და გადაახდევინონ მისი სამაგიეროდ, რაც მას იმათთვის დაუშავებია წინეთ. ეს რომ დათვმა დაინახა, იფიქრა, მოაწია აღსასრულმაო და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ამოჰქაჩა ტუჩი და ამოიღო; მაგრამ ზედ ტყავი მთლად გადაცლილი ჰქონდა და საოცრათ მოფრთქიალებდა სისხლი. ტუჩი რომ ამოიღო, ხემ ამ დროს ტატვზე მოასწრო და მოუჭირა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა ამოსწია ფეხი და თავს უშველა, მაგრამ თითები კი წააგლიჯა ხემ. ამ დროს გლეხებმაც მოუსწრეს და კაი-კაი უთავაზეს გვერდებში, მაგრამ, რადგან ხისაგან თავი გაინთავისუფლა, როგორც იყო გლეხებსაც დაუძვრა ხელიდგან და იქ ახლო მდინარეში ჩახტომა მოასწრო და ცურვით გზას გაუდგა. ბოლოს, როდესაც საშიშ ადგილს დიდზე დაშორდა, ამოვიდა წყლის კიდეზე და სისხლისაგან დაცლილი ძირს დაეცა. ძლივს მიღოღდა ნადირთ-მეფესთან მთლად გასისხლიანებული და მოახსენა, რაც მელამ შეამთხვია.

გაბრაზდა ლომი. მისი ბღვინვა შორს გაისმოდა და მისმა შიშმა ყველას კანკალი დააწყებინა. მოიხმო ლომმა კატა-ღრუტუნა და უთხრა:

— წადი ამ წუთაში, სადაც იქნეს მოძებნე მელა და და აქ მოიყვანე!

კატამ მოახსენა: ბატონო! დათვს რომ ამისთანა საქმე დამართა იმ წყეულმა, მე რაღა უნდა გავარიგო იმასთან, ერთი პატარა არსება ვარ.

ლომმა უთხრა: რა ვუყოთ, რომ პატარა ხარ: ბრილიანტი პატარაა, მაგრამ ძვირად ღირს. მე შენ ჭკვიან-კაცად მიმაჩნიხარ და იმედი მაქვს, ჩემს მინდობილებას კარგათ აასრულებ!

რაღას იზამდა კატა? წავიდა მელიას მოსაყვანად, მაგრამ ის კი გადაწყვეტილი ჰქონდა გუნებაში, რომ არც მას დაეურებოდა მისაგან ხეირი, და ძრიელ სწუხდა.

(შემდეგი იქნება)

ალ. ჩიქინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი ქოსა-ტყუილა.

(ხალხური ზღაპარი)

იყო ორი ქოსა-ტყუილა: ერთი დათუა და მეორე პეტრიკელა. ერთხელ დათუა-ქოსა-ტყუილამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა, მაგრათ ხავსით გატენა, თავზედ ცოტა მატყლი დაატენა და იმერეთში გასასყიდათ წაილო. როცა პორტოხის წვერზედ (სურამის მთაზედ) ავიდა და გადახედა ტურფა იმერეთს, სწორეთ ამ დროს წინ პეტრიკელა-ქოსა-ტყუილა შემოხვდა, რომელსაც ნიგვზის ნაჭუჭებით სავსე დიდი ტომარა ეკიდა და თავზედ კი ცოტა ოდენი ნიგოზი დაეყარა.

— გამარჯვება შენი! უთხრა დათუა-ქოსა-ტყუილამ.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, მიუგო პეტრიკელამ.

— საიდგან მოხვალ, ან სად მიხვალ აქეთ?

— იმერეთიდგან მოვდივარ—ქართლში ნიგოზი მიმაქვს გასასყიდათ. შენ საიდგან-ღა მოდიხარ, თუ ღმერთი გწამს?

— მე, ძმაო, ქართლიდგან მოვდივარ: იმერეთში მატყლი მიმაქვს გასასყიდათ. მაგრამ ერთ რჩევას მოგცემ, თუ დამეთანხმები: ტყუილა აქეთ-იქით სიარულს რაღას გამოვრჩებით—ქალაბნები დაგვიცვდება, სხვა არა იყოს რა. მოდი, ჩვენი საქონელი... ჩვენი საქონელი

— ძალიან კარგი რჩევაა, ძმობამ! ვეირჩევნია ორივეს, თავ-თავის სახლისაკენ გავბრუნდეთ, ტყვილა თრევითა რა სარგებლობა მოგვივა?—აჰა, და შენც მოიხსენი და მომეცი შენი ტომარა.

ასე ამ გვარად ორივე ქოსა-ტყუილამ გასცვალეს ერთმანერთში ტომრები და გაბრუნდნენ თავ-თავიანთ გზისაკენ. Ცო-

ეროვნული

ტა მოშორდნენ ერთმანერთს და მოეფარნენ თუ არა? სწრაფად თავ-თავის ტომარას თავი მოხსნეს — და რა ნახეს? ის, რომ ორთავეს ერთმანერთი მოეტყუილებინათ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ შეხვდნენ ერთმანერთს. გამარჯვების თქმის შემდეგ, დათუამ უთხრა:

— მე მეგონა, თუ მარტოკა მე ვიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, შენმა მზემ, ნაკლები.

— იმე! რათ გაგკვირვებია შე კაცო: თუ კი შენ იცოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?!

— მაშ, მოდი, დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი რჩევაა.

— იცი რა? მოდი სადმე ერთად მოჯამაგირეთ დავდგეთ.

—შენი ნება იყოს, ძმაო, ერთად დავდგეთ.

ამ პირობის დასკვნის შემდეგ, ორივე ქოსა-ტყუილა წავიდნენ ერთად ბინის საძებნელათ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, ბოლოს შეიტყეს, რომ ვიღაც ერთ დედა-კაცს ორი მოჯამაგირე უნდაო. მივიდნენ იმ დედა-კაცთან და შეეკითხნენ. დედა-კაცმა უთხრა:

— მე ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს. ერთმა თქვენთაგანმა ძროხა უნდა ატაროთ საბალახოთ და სამწყევსურში თან უნდა გქონდესთ სალამური, ჩონგური და დაირა, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის; მეორემ კი აქაურობა უნდა დაჰგავოს — დაასუფთავოს და ნაგავი სხვის ეზოში უნდა გადაჰყაროს. თუ თანახმა ხართ და ყველა ამას შეიძლებთ, დარჩით, დადექით ჩემთან!

— როგორ ვერ შევიძლებთ: თანახმა ვართ უპასუხეს.

მეორე დღეს პეტრიკელა-ქოსა-ტყუილა შინ დარჩა სახლის დასასუფთავებლად; დათუამ აიღო ერთი პური, დაირა, სალამური და ჩონგური და ძროხას გაჰყვა... პეტრიკელამ ეზო დაჰგავა და, როცა ნაგავს სხვის ეზოში ჰყრიდა, ეზოს პატრონებმა დაინახეს, მისცვივდნენ და მწარეთ უმოწყალოდ სცემეს: რას ჰქვიან სხვისი ნაგავი ჩვენს ეზოში მოგაქვსო.

ცემისაგან გვერდებ დალურჯებული პეტრიკელა-ქოსა-ტყუილა ბოსლის ტახტზე დაეგდო. ამ დროს არც დათუა-ქოსა-ტყუილას ადგა კარგი დღე: დილით, გავიდა თუ არა მინდორში ძროხა, მაშინვე კვინტრიშით სირბილი მორთო და საღამომდინ ფეხ-შეუწყნარებლათ დარბოდა; საღამოზედ შინ მოვიდა და თან დათუა-ქოსა-ტყუილაც მოჰყვა.. სირბილისაგან და შიმშილისაგან ისე დაქანცულიყო, რომ პურის ჭამაც კი ვერ მოეხერხებინა. შემოვიდა თუ არა ბოსელში, ჰკითხა პეტრიკელას:

— რა დაგემართა, ძმაო, ავათ ხომ არა ხარ?

ავად კი არა!... ავათ რა გამხდიდა?!..

— აბა, რათ წევხარ?

— ბოსელი და ეზო დავგავე და ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე; დამინახეს პატრონებმა თუ არა, მაშინათვე მიმიწვიეს სახლში და მშვენივრათ გამიმასპინძლდნენ. ნამეტანი კახურის სმით ცოტა თავი მიბჟუა.—შენ როგორი-ღა დრო გაატარე?

— მეც, ძმაო, ძალიან ქეიფიანათ ვიყავი... დავუკარი დაირა, ჩამოვკარი თითები ჩონგურის სიმებს და ჩავაკრიალე სალამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი კახური ფეხ-მარდი ცეკვა.. ბარშამო აუარებელი ქალი და კაცი შემოგვეხვივნენ და ჩვენთან ისინიც მხიარულობდნენ. წარმოიდგინე, პური ისევ მთელი მოვიტანე: სიხარულით ჭამაც კი არ მომგონებია.

— აბა, რაღაი მაგრეა, ძმაო, ხვალ მე გავყვები ძროხას და შენ კი ერთი ლაზათიანათ გამოთვერი აქ მეზობლისას.

— შენი ნება იყოს, არ გაწყენინებ, უთხრა დათუამ.

—მეორე დღეს ის დღე დაადგა პეტრიკელა-ქოსა-ტყუილას, რაც დათუა-ქოსა-ტყუილას ადგა: საღამომდინ თავ-ქუდ მოგლეჯილი არბევინა ძროხამ და დათუა-ქოსა-ტყუილა კი ისე დაამჟავეს ცემით, რომ ძლივს მოათრია წელი ბოსლამდინ...

იმ ღამეს რჩევა შეექნათ და სთქვეს: თუ აქედგან არ გავიპარეთ, ან შიმშილს ვერ გაუძლებთ, ან სირბილსო და ცემა ხომ კიდევ მეტიაო.

გადასწყვიტეს გამოპარვა. მაგრამ კარებს ყოველთვინ სა-

ღამობით ბებერი ჰკეტავდა კლიტით გარედგან და ეს მიზეზი ძალიან ხელს უშლიდა იმათ განზრახვის შესრულებას...

— მოდი ეს ძროხა დავჰკლათ სთქვა პეტრიკელა ქოსა-ტყვილამ: ჩავალაგოთ ტომარაში, მერე ერთმა ჩვენგანმა მეორეს უკიბოს, ავიდეს მაღლა, ჭერიდგან აძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ ჯერ ხორცი მიაწოდოს ტომრით და შემდეგ თვითონაც მოეკიდოს თოკს და ამოვიდეს; მერე იქიდგან ერთად წავიდეთ...

— ეგ ძალიან კარგი იქნება, სთქვა დათუა-ქოსა-ტყუილამ. მაშ, მოდი, მიკიბე და ავალ მაღლა, უფრო ღონივრათაც ავზიდავ ხორცს და შენც ადვილად აგიყვან.

გადასწყვიტეს ასე. უკიბა პეტრიკელამ. დათუა-ქოსა-ტყუილა ამოძვრა ზევით და შემდეგ ძირს თოკი ჩაუშვა. პეტრიკელამ მოაბა მაგრათ თოკს ტომრის ცალი ყური, შიგ ორიოდე ნაჭერი ხორცი ჩადვა და თვითონაც ჩაჯდა და დაუძახა: წაიღე ხორცი და ისევ ჩქარა ჩამოუშვი ტომარაო.

დათუა-ქოსა-ტყუილამ ტომარა მაღლა აზიდა, მოიდვა ზურგზედ და მარდათ გაჰქუსლა. ერთი დიდი მანძილი რომ გაირბინა, დაღალულს დასვენება მოუნდა, მოიხადა ტომარა ზურგიდგან და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახქორო, არა მატკინო რა, შესძახა პეტრიკელა-ქოსა-ტყუილამ, რომელიც მაშინვე ტომრიდგან ამოძვრა.

— თვითონ შე ოჯახ-დაქცეულო, რაზედ მომწყვიტე წელი, კაცო?

— აბა თვითონ დაფიქრდი, ძმაო, თუ გასამტყუნარი ვარ. ნუ ვუღალატებთ ერთანერთს ნურც ჭირში და ნურც ლხინში, მაშინ საქმესაც კარგათ წავიყვანთ და არც წელი და გული მოგვწყდება, უთხრა პეტრიკელა-ქოსა-ტყუილამ.

ამის შემდეგ ორთავენი ძმურათ, სიყვარულით და ერთმანერთისათვის თავ-დადებით სცხოვრობდენ.

ელასა მელასა
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ლხინი გაამოთ ყველასა.

სოსიკო.

თელავი.

## ანდაზები გამოცანები რებუსები

### ხალხური გამოცანები

(წარმოდგ. ეფრ. მარჯანიძისაგან, გაგონილი ქართლ-კახეთში)

1. ინდოდგან მომლო ამქარი, არ მაწყინარი არ არი,
არც არი მისი გაზრდილი, არცა ხმლის მკვრელი არ არი;
ხმა მათი მეტად მაღალი, მართვითა ზარი არ არი
და ამის გამომცნობელი ბრძენთაგან ბრძენი არ არი.

2. ერთი რამ უცხო, უსულო სიბრძნეს იმასის მიკვირსო,
სახლი აქვს უცხოთ ნაგები, სურის გამოცვლა უჭირსო;
სიბრძნეს გამოსცემს ქიდგან, სოფელს შენახვა უჭირსო,
ვინც რომ ამას კარგათ ახსნის, მას სიბრძნე აღარ უჭირსო.

3. ხუთნი არიან — ძმანი არიან:
ოთხი სახლს აგებს, ერთი კარს უვლის.

4. ნეტა რა არის ისეთი უმიწოთ გაიზრდებაო,
არცა ხნავს, არცა მოსთესავს, არცა რა მოუნდებაო;
ვინარის მოუმე ისეთი, რომ მაზედ აესვლებაო,
შვიდ წელიწადში ერთხელა ძირით ამოკრბებაო.

### იმერეთში გაგონილი

5. ზურა-ზურა მოდიოდა ზურაბ-ბარაქიანიო,
მიკვირს, პირჯვარს როგორ იწერს ზურგი-ტალახიანიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აკიბულისა კიბესა, მაღლა როსტომის ციხესა
შევა ღომი და შესძახებს, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა.

7. აღავი-დავი, ქათამი შავი,
ავართვი მხარი, შევჭამე თავი.

### ჩქარა-ს თქმელი.

1. ცას მოუწმენდია, მოუსკილისკამურებია; როგორც მოუსკილისკამურებია, ისე გამოუსკილისკამურებია.

### წინა-გამოცანების ახსნა

ორ-ორი სტუმარი ერთად დასხდენ და ერთი მეორეს აწვდიდენ საჭმელს იმ კოვზით.

### № 1 ლი რებუსის ახსნა

თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში.

რედაქტორი-გამომცემელი ა ს.-მე დუღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედაგოგიური დამატება

## სამაგალითო გაკვეთილები

### წერა-კითხვის გაკვეთილები *)

(გაკვეთილი მეხუთე)

მასწავლებელი მიჰმართავს ერთს მოსწავლეთაგანს:—კოტე! აბა, მოიკიდე თავზე ხელი. აბა, ყველამ მოიკიდეთ თავზე ხელი. თავი რითი უერთდება ტანსა?—კისრით.—აბა, მაჩვენეთ კისერი. კისრის წინა მხარეს რა ჰქვიან?—ყელი. კისერს შემდეგ რა იწყება?—ტანი. —ტანთან, გარეშე კისრისა, რა არის შეერთებული?—ხელები და ფეხები.—კაცის თავი, კისერი, ტანი, ხელები და ფეხები რას შეადგენენ ერთად?—კაცის სხეულსა.—გაიმეორეთ, რა ნაწილები იცით კაცის სხეულისა?—კაცის სხეულის ნაწილებია:—თავი, კისერი, ტანი, ხელები და ფეხები.—კისრის წინა მხარეს რა ჰქვიან, კიდევ გაიმეორეთ.—კისრის წინა მხარესა ჰქვიან ყელი.—გაიმეორე სოსო! კიდევ, კიდევ. ვსთქვათ ყველამ ერთად. კიდევ, კიდევ... რამდენი სიტყვა არის აქა?—ხუთი. რომელია პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე? მეხუთე, მეორე. მეოთხე..? ვსთქვათ ყველამ ერთად სიტყვა ყ ე ლ ი. (ამბობენ), კიდევ, კიდევ, კიდევ...

რამდენი მარცვლისაგან შესდგება ეს სიტყვა?—ორი მარცვლისაგან. სოფი, კოტე, პირველი მარცვალი? მეორე? ვსთქვათ ყველამ ერთად პირველი მარცვალი; კიდევ, კიდევ...—გაიგონეთ: ყეეეე... ყეეეე... ყეეეე...—რა ხმით ბოლოვდება ეს მარცვალი?—ხმით—ე. —რა ხმით იწყობა?—ხმით ყ.—ამ ორი ხმის მეტი ხმა ისმის თუ არა ამ მარცვალში?—არა.—მაშ რამდენი ხმისაგან შესდგება ეს მარცვალი?—ორი ხმისაგან.—რა ხმა არის პირველი? მეორე?.. მით-

*) წინა ოთხი გაკვეთილი იხ. 1884 წ-ს "ნობათი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარით ისეთი სიტყვები, რომლებშიაც ისმოდეს ხმა ყ, ხმა ე; კიდევ, კიდევ... გაიმეორეთ, რა ხმებისაგან შესდგება პირველი მარცვალი? —ხმებისაგან—ყ და ე.

მითხარით მეორე მარცვალი ამ სიტყვისა.—ლ ი.—ვსთქვათ ერთად: ლი, ლი, ლი...—გაიგონეთ: ლიიი... ლიიი... ლიიი...—რა ხმით ბოლოვდება ეს მარცვალი?—ხმით ი.—რა ხმით იწყება?—ხმით ლ.—ამ ორი ხმის მეტი ხმა ისმის თუ არა?—არა. მაშ, რამდენი ხმებისაგან შესდგება ეს მარცვალი?—ორი ხმისაგან.—რა ხმებისაგან?—ლ და ი.—მითხარით ისეთი სიტყვები, რომლებშიაც ისმოდეს ხმა ლ; კიდევ, კიდევ, კიდევ...—გაიმეორეთ, რა ხმებისაგან შესდგება პირველი, მეორე მარცვალი?—სულ რამდენის ხმებისაგან შესდგება ეს ორი მარცვალი?—ოთხის.—ამ ოთხი ხმის მეტი ხმა ისმის თუ არა სიტყვაში ყელი?—არა.—მაშ, რამდენი ხმებისაგან შესდგება ეს სიტყვა და რა ხმებისაგან? რომელია პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე ხმა? ამ ოთხ ხმაში რომელი ხმა ვიცოდით დღევანდლამდის?—ხმა ი.—მაშ, რა ხმები ვისწავლეთ დღეს?—გაიმეორეთ, რამდენის მარცვლებისაგან, რამდენის და რა ხმებისაგან შესდგება სიტყვა ყელი.

— ადექით! დასხედით! კიდევ, (სამჯერ.)

— რა ხმები შევისწავლეთ დღეს?—ხმები ყ, ე, ლ.—ეხლა ვისწავლოთ ამ ხმების სურათები. ხმა ყ აი, ასე ისატება ხოლმე...—კოტე, როცა ამ ასოს დაინახავთ, რა ხმა მოგაგონდებათ?—ხმა ყ.—ჩვენ რომ ასოები ვიცით, მათ წააგავს თუ არა ასო ყ?—არა. (მასწავლებელი აურევს ამ ასოს სხვებში და მოსწავლეთ უნდა გამოიცნონ ეს ასო).—მეორე რა ხმა ვისწავლეთ დღეს?—ხმა ე.—ხმა ე, აი ასე გამოისატება.—მაშ ეს რა ასოა?—ასო ე.—ეს ასო წააგავს ასოს ყ თუ არა?—წააგავს, მხოლოდ ყ-ს სხვანაირი თავი აქვს. (მასწავლებელი ამ ასოსაც აურევს სხვებში; მოსწავლენი გამოიცნობენ.)—მესამე რა ხმა ვისწავლეთ დღეს?—ხმა ლ.—აი ლ-ს სურათი.—ვანო, ეს რა ასოა?—ასო ლ.—აბა, შეადარეთ ეს სამი ასო (ყ, ე და ლ) ერთმანეთს.—ლ არ ჰგავს არც ყ-ს და არც ე-ს.

(მასწავლებელი ამ ასოსაც აურევს სხვებში და მოსწავლენი ამოიცნობენ; შემდეგ სამივე ასოებს (ყ, ე, ლ) ერთად აურევს სხვებში, და მოსწავლენი ამოიცნობენ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი ასოები: ყ და ე; აბა, ვინ შეადგენს ამ ასოებიდგან მარცვალს ყე. (ერთი მოსწავლეთაგანი მიდის კლასის დაფასთან და შეადგენს ამ მარცვალს).—აი, ასოებიც ლ და ი; აბა შეადგინეთ მარცვალი ლი. (ეს მარცვლები დაწყობილია ერთმანერთზე დაშორებით).—წაიკითხეთ პირველი მარცვალი, მეორე. (შემდეგ მასწავლებელი მიუახლოვებს ამ ორ მარცვალს ერთმანერთს.) ეხლა წაიკითხეთ. (კითხულობენ: ყე—ლი). —აბა, ჩქარა წაიკითხეთ. (გამოვა სიტყვა ყელი). აი ასოები; აბა ვინ შეადგენს სიტყვას: ლოყა, ყოლა, ეყოლა, ლაყე, საყელო, საყოლი.

— ადექით! დასხედით! კიდევ, (სამჯერ). ამოიღეთ დაფები და გრიფილები; დააწყვეთ სტოლზე. ჩვენ ვისწავლეთ დღეს ხმები და ასოები ყ, ე, ლ. ეხლა ვისწავლოთ ამ ასოების წერა.—მიყურეთ: ასო ყ, აი, ასე იწერება.—მოემზადენით საწერად; დასწერეთ სამ-სამჯერ ასო ყ. ეხლა ვსთვალოთ და ისე ვსწეროთ ყველამ ერთად. ეს ასო იწერება ორის ანგარიშით, აი, ასე: ერთი, ორი; ერთი, ორი.—დავიწყოთ: ერთი, ორი; ერთი, ორი; კიდევ, კიდევ.—ეხლა თქვენც სთვალეთ და სწერეთ. (სთვლიან ყველანი და სწერენ.)—ასო ე იწერება ორის ანგარიშით, ლ ოთხის, იმგვარათვე, როგორც ყ.—დასწერეთ სამ-სამჯერ სიტყვა ყელი. ეხლა თვლით დავსწეროთ; მე ვსთვლი და თქვენ სწერეთ. (სწერენ რამდენიმე-ჯერ). დასწერეთ სიტყვები: ლოყა, ყოლა, ეყოლა, საყელო, საყოლი, ლაყე.

(გაკვეთილი თავდება)

ხეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედიატორეთა განჩინება

### ბ. ბ. გოგებაშვილის და დუღაძის

### პოლემიკის შესახებ.

ქართულს პედაგოგიურს ჟურნალ „ნობათში“ დაბეჭდილი იყო, როგორც უწყიან მკითხველებმა, ბიბლიოგრაფიული წერილი ბ. გოგებაშვილისაგან შედგენილის წიგნის „კონის“ შესახებ. მის პასუხად „კონის“ ავტორმა დაბეჭდა გაზეთს „დროებაში“ საპასუხო წერილი, რომლითაც „ნობათის“ რედაქტორმა ბ. ა. დუღაძემ სცნა „შეურაცხყოფილად როგორც „ნობათის“ პატიოსანი განზრახვები, აგრეთვე პირადი თავის თავი.“ ამის გამო „დროების“ საშუალებითვე მოითხოვა ბ. გოგებაშვილისაგან მედიატორების დანიშვნა ამ საქმის გასარჩევად. მისი მაშინდელი აზრით, მედიატორებს უნდა განეხილათ, როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი და მისი ღირსება, აგრეთვე ბ. გოგებაშვილის საპასუხოც და გადაეწყვიტათ: ა) „რამდენად სეფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლევდა ბ. გოგებაშვილი თავის თავს ნებას, რომ უპატიურად იხსენიებდა, როგორც „ნობათის“ სახელს, აგრეთვე მისი რედაქტორისას.“

ბ. გოგებაშვილი დათანხმდა მედიატორების აღმორჩევაზე და ესეთი კითხვები დაადგინა პირველად „დროებაში“ დაბეჭდილ პასუხში: 1) მოყვრულად ვექცეოდით ჩვენ „ნობათსა“ და ვცდილობდით მის წარმატებისა და გავრცელებისათვის, თუ არა? 2) „საყმაწვილო კონის“ შესახებ მისი წერილი საფუძვლიანი და ზრდილობიანია, თუ უსაფუძვლო, ბავშური და ბრიყვული და მან ამ წერილით სიკეთისთვის ბოროტი მოგვაგო, ანუ ვინ სტყუის ბ. დუღაძე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ „კონა“ ყოვლად გამოუსადეგარი წიგნიაო, თუ სტყუოდა კერძო კომიტეტი, რომელსაც შეადგენენ ჟურნალის „კრებულის“ რედაქტორი ბ. კირილე ლორთქიფანიძე და რამდენიმე მისი თანამშრომელი, რომელმაც ათი წლის წინად განიხილა ჩვენი წიგნი და სცნო იგი იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენად სასარგებლოდ, რომ, არამც თუ დაბეჭდა იმ ფულით, რომელიც ბ. ზარაფოვმა შესწირა ქართულ საყმაწვილო წიგნების გამოსაცემად, არამედ კიდეც დააჯილდოვა ზარაფოვისავე ოც თუმნიანი პრემიით. 3) მართლა ჩვენ რაიმე შეუსაბამო შეურაცხყოფა მივაყენეთ ბ. დულაძეს, თუ მისი წერილი სწორედ ღირსი იყო იმ გვარი პასუხისა, რომელიც ვაგეთ მას? თუ ბ. დულაძემ ყასიდად მოიკატუნა თავი, განზრახ ჩასთვალა თავისი თავი შეურაცხყოფილად? 4) სასარგებლოა ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურის ალორძინებისათვის იმ გვარი კითხვა(?), რომელიც ბ. დულაძემ უძღვნა „კონას“, თუ მავნებელია და სათაკილო ყოველ ჟურნალისათვის?“

როცა ალმორჩეულნი მედიატორენი შეუდგნენ საქმის განხილვასა და მოსთხოვეს ბ. ბ. დულაძესა და გოგებაშვილს კითხვების დადგენა დაბოლოებით, მაშინ ბ. დულაძემ შესცვალა თავისი, ზემოხსენებული კითხვები, უარი განაცხადა გაგვერჩია საქმე ყოველ მხრით, შეგვხებოდით „კონის“ შესახებ დაბეჭდილ წერილის შინაარსს, მის სიმართლესა და საფუძვლიანობას და წარმოუდგინა მედიატორებს გადასაწყვეტად მხოლოდ შემდეგი კითხვა: „მიუხედველად მისა, თუ რავ(მ)დენად მართალია სუბიექტიური მსჯელობა ორთა მოწინააღმდეგე მხარეთა წიგნის „კონის“ შესახებ, გაისაჯოს და გადასწყდეს კითხვა: შესაწყნარებელია ბეჭდვაში ისეთი ლიტერატურული ფორმა, რომელიც მათ იხმარეს, თუ არა?“

ბ. გოგებაშვილმა, თავის მხრით, წარმოუდგინა მედიატორებს უწინდელივე კითხვები, მხოლოდ ამ გვარად შემოკლებული: „გარჩევა „კონისა“, დაბეჭდილი „ნობათში“, პრინციპიალური კრიტიკაა, თუ უფრო პიროვანი კიცხვა, სავსე საწყენი და დამამცირებელ სიტყვებით? თუ უკანასკნელი მართალია, ემართლებოდა ბ. დულაძე გოგებაშვილს, თუ არა? გოგებაშვილმა გაამტყუნა თუ არა ბ. დულაძის წერილი? იხმარა თუ არა მან საწყენი სიტყვები, და თუ იხმარა, მისცა ბ. დულაძემ საკმარისი საბუთი და საფუძველი, თუ არა?“

შემდეგ ამისა მოვისმინეთ იმავე კრებაში, რომელსაც საკმაოდ გარეშე პირებიც დაესწრენ, ბ ბ. გოგებაშვილისა და დულაძისაგან წარმოდგენილი სადაო საქმის გასამართლებელი და თავიანთ თავის გასამართლებელი წერილები, რომელთაც მათ, წაკითხვის დროს, სტიქვიერადაც დაუმატეს, რაც რამ სათქმელი ჰქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, მედიატორებმა, მივიღეთ-რა საფუძვლად ორივე მოდავე პირთაგან წარმოდგენილი კითხვები, განვიხილეთ დაწვრილებით, როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „კონის“ შესახებ, ისე ბ. გოგებაშვილის პასუხი; მივიღეთ აგრეთვე მხედველობაში ბ. ბ. გოგებაშვილის და დუღაძისაგან წარმოდგენილი წერილები თავიანთი თავის გასამართლებლად და ყოველივე, რაც კი მათ სიტყვიერად წარმოსთქვეს ჩვენს წინაშე და დავადგინეთ შემდეგი დასკვნანი.

1) გარჩევა „კონისა“, დაბეჭდილი ჟურნალს „ნობათში“, ვერ ვსცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დაამციროს უსამართლოდ, როგორც „კონა“, ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქა მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულს წერილში არის ისეთი ადგილები და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს შეუსაბამოდ, არა საკადრისად, შეუწყნარებლად ბეჭდვითი სიტყვაში, მეტადრე საყმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და კიცხვად „კონის“ ავტორისათვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბლიოგრაფიო წერილში, ვითომც ძველა გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული გოგებაშვილისაგან მოთხრობები „კონაში“ გაფუჭებულნი იყვნენ, სრულად უსამართლო არის. ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავტორს „კონის“ შინაარსიდამ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, ვითომც, შინაარსი წიგნისა წინააღმდეგი იყოს მეცნიერებისა,—სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდნენ, როგორც დავრწმუნდით შემდეგ მათის შემოწმებისა გამოჩენილი ავტორიტეტების ცნობებთან.

რაიცა შეეხება „კონის“ ენის ნაკლულევანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა მასზე, რომ, ვითომც, „კონა“ წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის ავლაბრულ ქართულ ენისას, რომელიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სომეხთ-თათართ-ოსთაგან“, მედიატორებს მიაჩნიათ ნამდვილ ცილის წამებად, თუმცა-კი, მართალია, „კონაში“ ნაჩვენებია ზოგიერთი ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც არ შეესაბამებიან ქართული მართ-მწერლობის კანონებს, მაგრამ ამ გვარი ნაკლულევანება, სამწუხაროდ, საზოგადო ნაკლულევანებას შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის საპასუხო წერილს აქვს პიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცირებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ღუღაძემ თვისი უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თვისი პედაგოგიურის და ლიტერატურულის ხანგძლივის, ფრიად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ახალი მოზარდის თაობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია მას იმ გვარი კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ღუღაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია.

დასასრულ მედიატორები სამართლიანად ჰხადიან წარმოსთქვან, რომ ბ. ბ. ღუღაძისა და გოგებაშვილის პოლემიკური დავა ისეთი განსაკუთრებითი თვისებისა არ იყო, რომ ის უთუოდ სამედიატოროდ გამხდარიყო. ჩვენის აზრით უმჯობესი იყო, ეს საქმე თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოების მსჯელობისთვის მიენდო ბ. ღუღაძეს.

ეს ჩვენი განჩინება უეჭველად დაიბეჭდოს, როგორც გაზეთის „დროებაში“, ისე ჟურნალ „ნობათში.“ რაიცა შეეხება განმარტებითს წერილებს, იმი(ა)თი დაბეჭვდა მიენდოს თვით იმათ ავტორებს, თუ რომ ისურვებენ.

ნამდვილზე ხელ-მოწერილია მედიატორეთაგან

ნამდვილის თანასწორია. გიორგი იოსელიანი.

1885 წ. მარტის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГОДЪ **объ изданіи въ 1885-мъ году** XXII.

# иллюстрированнаго журнала „СЕМЕЙНЫЕ ВЕЧЕРА“

Журналъ этотъ состоитъ подъ Высочайшимъ Покровительствомъ *ГОСУДАРЫНИ ИМПЕРАТРИЦЫ МАРІИ ѲЕОДОРОВНЫ.* Рекомендованъ Ученымъ Комитетомъ Министерства Народнаго Просвѣщенія—для гимназій, уѣздныхъ училищъ, городскихъ и народныхъ школъ. Состоящ. при IV отд. Собств. ЕГО ВЕЛИЧЕСТВА Канцеляріи Учебнымъ Комитетомъ для чтенія воспитанницамъ женск. учебн. завед. *Императрицы Маріи.* Духовно учебнымъ Управленіемъ рекомендованъ начальствамъ духовныхъ семинарій и училищъ и Главнымъ управленіемъ военно учебныхъ заведеній рекомендованъ для библіотекъ военныхъ гимназій и прогимназій, какъ изданіе, представляющее обильный матеріалъ для выбора статей, пригодныхъ для чтенія воспитанниковъ.

Годовое изданіе „Семейныхъ Вечеровъ“ будетъ состоять изъ 24 книгъ, составленныхъ по слѣдующей программѣ: 1) Стихотворенія, повѣсти и разсказы, какъ русскихъ, такъ и иностранныхъ писателей; 2) Біографіи замѣчательныхъ людей. 3) Очерки народныхъ обычаевъ, преданія разныхъ странъ. Картины частной жизни въ разныя эпохи. 4) Путешествія. 5) Статьи по части исторіи, отечественной и всеобщей. 6) Статьи по естественнымъ наукамъ. 7) Разборы замѣчательныхъ сочиненій. 8) Извѣстія о замѣчательныхъ открытіяхъ, изобрѣтеніяхъ и наблюденіяхъ.

Къ отделу для *Семейнаго чтенія,* какъ и въ 1884 году, будутъ разсылаться приложенія рисунковъ *новѣйшихъ рукодѣлій,* а къ отдѣлу *для дѣтей—рисунки технических искусствъ* и *различныя игры и занятія,* а также награды подписчикамъ, приславшимъ опредѣленное редакціей количество задачъ и рѣшеній.

Кромѣ того, *всѣмъ подписчикамъ на оба отдѣла* „*Семейныхъ Вечеровъ*“ будетъ разослана, въ видѣ *преміи, олеографія.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| | БЕЗЪ ДОСТАВКИ. | СЪ ДОСТАВКОЮ. |
|---|---|---|
| Полный журналъ (24 книжки) . . . . . . . . | 10 р. | 11 р. |
| Отдѣлъ для дѣтей (12 кн.) . . . . . . . . . | 5 „ | 5 „ 50 к. |
| „ семейнаго чтенія и юношества (12 кн.) | 5 „ | 5 „ 50 „ |

*Для всѣхъ учебныхъ заведеній,* подписавшихся на полный журналъ и обращающихся прямо въ редакцію, уступается 1 руб.

*Для земскихъ школъ,* подписавшихся не менѣе, какъ на 25 полныхъ экз. уступается 2 руб.

*Подписка принимается:* Въ редакціи журнала „Семейные Вечера“, *С.-Петербургъ, Пушкинская (Новая) улица, д. № 14, кварт. № 9.*

**За всѣ года, начиная съ 1874, имѣются въ немногомъ количествѣ полные экземпляры съ хромолитографированной картиной.**

Редакторъ-Издательница *С. КАШПИРЕВА.*

(3—2)

3/84

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყოველთაო

სურათებიანი ყრმათა საკითხავი ჟურნალი

# „ნობათი"

პედაგოგიური ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის.

მთელი წლისა ჟურნალი „ნობათი" (12 წიგნი) ღირს ოთხი მან.

I. **ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, საზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში, № 7) და ვ. შავერდოვის წიგნის საგენტოში. ქუთაისში—ჭალაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—მე ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

II. **ადრესის გამოცვლა** ხელის-მომწერელმა დაუყოვნებლივ რედაქციას უნდა აცნობოს და თან ძველი ადრესიც წარმოუგზავნოს. ადრესის გამოცვლა ათი შაური ღირს.

III. **საჩივარი** ჟურნალის რომელიმე ნომრის მიუღებლობისა პირ-და-პირ რედაქციაში უნდა წარმოიგზავნოს, მასთან მოხსენებული უნდა იყოს: სად, რომელი ადრესით იგზავნება ჟურნალი. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივი ფოსტის კანტორის მოწმობა, რომ ნომერი ჟურნალისა არ მიუღია. თუ ეს ცნობები არ იქმნა წარმოგზავნილი, რედაქციას არ შეუძლია ხელის-მომწერელი დააკმაყოფილოს.

IV. რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ იღებს თავის თავზე ვალად, თუნდაც რომ 7 კაპ. ფოსტის მარკაც იყოს გამოგზავნილი პასუხისათვის.

**ფოსტის ადრესი:** *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати".*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ღუტაძე.